სადოქტორო განათლება საქართველოში

ანგარიში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2012

კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი – ნინო ჯავახიშვილი

სტუდენტები:

- ფატმან წერეთელი
- ნათია ხუჯაძე
- თინათინ თიაბაშვილი

Tempus

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. წინამდებარე პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორების მოსაზრებას და ევროკავშირი არაა პასუხისმგებელი წარმოდგენილ ინფორმაციაზე.

სარჩევი

შესავალი 3

ანალიზი 7

საზღვარგარეთის ქვეყნების სადოქტორო პროგრამების სტრუქტურის აღწერა

სადოქტორო პროგრამების საკანონმდებლო ჩარჩო 13

სადოქტორო პროგრამების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო 21

საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ 21

სადოქტორო პროგრამა 21

დოქტორანტურაში სწავლა 21

სადისერტაციო საბჭო 22

საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ 22

ეროვნული უმაღლესი განათლების საკვალიფიკაციო ჩარჩო 23

დარგობრივი სტანდარტები 24

დოქტორანტის შეფასების სისტემა 26

ბოლონიის პროცესის ფარგლებში არსებული რეგულაციები 27

სადოქტორო პროგრამების კვლევის მიმოხილვა 30

კვლევის მეთოდი და ინსტრუმენტი 11

დოქტორანტების რაოდენობა 30

სადოქტორო პროგრამების ხანგრძლივობა 30

სადოქტორო პროგრამაზე სწავლის საფასური 31

აკადემიური და კვლევითი კომპონენტების განაწილება ..... **Error! Bookmark not defined.**

სადოქტორო პროგრამების სასწავლო კომპონენტი 35

სადოქტორო პროგრამებზე მიღება 36

დასაქმება 36

მოტივაცია 37

პროფესორის ასისტირება 39

სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება 40

სადოქტორო საფეხურის სტუდენტების მოტივაციის გამოკითხვის შედეგები 42

დანართები.....47
ცხრილი #1 კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტები და ინტერვიების რესპონდენტები 47
ცხრილი #2 დოქტორანტების რაოდენობა უნივერსიტეტების მიხედვით.....48
ცხრილი #3 2012-13 სასწავლო წლებში ჩარიცხული დოქტორანტების რაოდენობა ...50
ცხრილი #4 საქართველოს უნივერსიტეტებში სადოქტორო პროგრამების ხანგრძლივობა და ECTS კრედიტების რაოდენობა.....51
ცხრილი #5. საქართველოს უნივერსიტეტებში სადოტორო პროგრამების ღირებულება.....52
ცხრილი #6. სადოქტორო პროგრამებზე აკადემიური და კვლევითი კომპონენტების განაწილება.....54
ცხრილი #7. სადოქტორო პროგრამებზე მიღების პროცედურა საქართველოს უნივერსიტეტების მიხედვით.....56
ცხრილი #8 დოქტორანტი ასისტენტ-პროფესორების რაოდენობა.....59
გამოყენებული ლიტერატურა..... 60

შესავალი

საქართველოში სადოქტორო განათლების კვლევა ჩატარდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალისტთა ჯგუფის მიერ 2012-2013 წლებში ტემპუსის საქართველოს ეროვნული ოფისის მხარდაჭერით. კვლევის ამოცანაა საქართველოში სადოქტორო განათლების ამჟამინდელი მდგომარეობის აღწერა და ანალიზი. ამისათვის, პირველ რიგში, შესწავლილ იქნა არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო მასალები, საკანონმდებლო ჩარჩო, საქართველოს და უცხო ქვეყნების (დასავლეთ ევროპა, აშშ, კანადა) უნივერსიტეტების ვებგვერდები. შეგროვდა მონაცემები ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და იმ 26 უნივერსიტეტის წარმომადგენლისაგან, სადაც ხორციელდება სადოქოტორო პროგრამები (იხ. დანართი, ცხრილი #1). შესაბამისად, ჩატარდა 27 ინტერვიუ და დოქტორანტი სტუდენტების ინტერნეტ-გამოკითხვა (462 სტუდენტი გამოეხმაურა ამ ინიციატივას). ქვემოთ აღწერილია და გაანალიზებულია კვლევის მთავარი შედეგები.

შედეგების განხილვისა და ანალიზისათვის საჭიროა მოკლედ განვიხილოთ უმაღლესი განათლების სისტემის მიმართება შრომის ბაზართან. უმაღლესი საგანმანათლებლო ინდუსტრიის შესაბამისობა და ადგილი საქართველოს შრომის ბაზართან მიმართებაში საკმაოდ პრობლემურია. სათანადო კვლევებისა და მონაცემების სიმწირის მიუხედავად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ, არსებითად, საქართველოს შრომის ბაზარი არ განსხვავდება სხვა ქვეყნების ბაზრებისგან: სამუშაო ადგილების უმრავლესობა მომსახურების სექტორს განეკუთვნება. შესაბამისად, უმაღლესი განათლების საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურები ძირითადად ამზადებს პერსონალს მომსახურების სექტორისათვის. სხვა განვითარებადი ქვეყნების მსგავსად, უმუშევრობა, ისევე როგორც ირიბი (არაპირდაპირი) დასაქმება, მაღალია საქართველოში. თითქმის არ არსებობს მსხვილი ბიზნესი. განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოში ახალგაზრდა თაობა უფრო იოლად პოულობს სამსახურს (კავკსიის კვლევის ცენტრის მონაცემებით, ახალგაზრდების შემოსავალი უფრო მაღალია, ვიდრე მათი მშობლების თაობის) ვიდრე უფროსი თაობა და სახელმწიფო დაწესებულებების (სამინისტროები, სხვადასხვა სააგენტო, ცენტრი და ა. შ.) შემდეგ უნივერსიტეტები დიდი რაოდენობით ადამიანების დასაქმების მნიშვნელოვანი წყაროა.

<u>ძირითადი შედეგები</u>

საქართველოში არსებული 58 უნივერსიტეტიდან, 26-ს აქვს სადოქტორო პროგრამა, აქედან, 12 სახელმწიფოა, 14 - კერძო, მათგან მხოლოდ 4 უნივერსიტეტია თბილისის გარეთ, თითო-თითო სახელმწიფო უნიევრსიტეტი თელავს, ბათუმსა და ქუთაისში და ერთი კერძო უივერსიტეტი ქუთაისში (იხ.რუკა).

უნივერსიტეტების განაწილება რეგიონების მიხედვით[1]

2012-2013 სასწავლო წელს საქართველოში სულ 4677 დოქტორანტი სტუდენტია. დინამიკის მხრივ, 2008 წლიდან 2012 წლის ჩათვლით მათი რაოდენობა იზრდება:

[1] ქალაქები, სადაც უნივერსიტეტები მდებარეობს, აღნიშნულია წითლად.



ამ სტუდენტების უმეტესობა (3558) თბილისშია, 3 ძირითად სახელმწიფო უნივერისტეტში: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (სტუ), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ), და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში (ისუ). ამავე დროს, ეს უნივერსიტეტები ქვეყნის ძირითად კვლევით პოტენციალს წარმოადგენენ.

უნივერსიტეტების უმეტესობა ითხოვს სწავლის საფასურს. გამონაკლისია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი. გადასახადის ოდენობა იცვლება როგორც უნივერსიტეტიდან უნივერსიტეტამდე, ისე, თვითონ უნივერსიტეტების შიგნით, ანუ, ფაკულტეტებს შორის, თუმცა, შემთხვევათა უმეტესობაში არ აღემატება სამაგისტრო დონის სწავლების საფასურს (იხ. დანართი, ცხრილი # 2).

სადოქტორო პროგრამების ხანგრძლივობა ძირითადად 3 წელია, მცირე გამონაკლისებით. მონაცემები აჩვენებს, რომ ბევრი სტუდენტი ვერ ახერხებს ამ ვადაში პროგრამის დასრულებას, იჩერებს სტატუსს, ან იღებს აკადემიურ შვებულებას (იხ. დანართი, ცხრილი #3).

სასწავლო პროგრამები საკმაოდ მსგავსია ამ უნივერსიტეტებში, სტუდენტებს სთავაზობენ საგნების ჩვეულებრივ პაკეტს. ასევე, სტუდენტებს მოეთხოვებათ სწავლებაც, ანუ, პროფესორების დახმარება სწავლებაში.

მონაცემები რომ შევაჯამოთ, საქართველოს უნივერსიტეტების სადოქტორო პროგრამები არც ერთი ასპექტით არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით. ამისი მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ უნივერსიტეტები არ არიან სრულად დამოუკიდებლები, არა იმიტომ, რომ სახელმწიფო არ აძლევს მათ თავისუფლებას, არამედ იმიტომ, რომ უნიერსიტეტების ზედა რგოლის მენეჯმენტი და პროფესორები არ არიან მზად დამოუკიდებლობისათვის და სიახლეებისათვის. შესაბამისად, მრავალ უნივერსიტეტს უბრალოდ გადმოაქვს სხვა

უნივერსიტეტების პროცესები და პროცედურები და ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სააგენტოს რეკომენდაციები.

ანალიზი

საბაკალავრო განათლებას ამჟამად საქართველოში შესაბამისი ასაკის მოსახლეობის 20%-ზე ნაკლები იღებს, ეს, ბევრად ნაკლებია, ვიდრე განვითარებული ქვეყნების მაჩვენებელი. თუმცა, მათი 3% იღებს სადოქტორო განათლებას, რაც ნიშნავს, რომ, სტუდენტების შედარებით მეტ რაოდენობას სურს სადოქტორო ხარისხის მიღება, რადგან განვითარებულ ქვეყნებში, საბაკალავრო განათლებას შეიძლება მოსახლეობის 60-70% იღებდეს, ხოლო სადოქტოროს მათი 2% (მაგ: აშშ-ს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მონაცემებით, სკოლადამთავრებულთა 70% იღებს საბაკალავრო განათლებას, 28% სამაგისტროს და 2% - სადოქტოროს). პროცენტების ასეთ მიმართებას საქართველოში შეიძლება პარადოქსული ვუწოდოთ, რადგან ქვეყანაში პრაქტიკულად არ არსებობს კვლევითი ორგანიზაციები, სადაც დოქტორის ხარისხის მქონეთა დასაქმებაა შესაძლებელი. როგორ შეიძლება ავხსნათ ეს განსვლა ბაზრიდან? კვლევამ გამოავლინა სადოქტორო პროგრამაზე სწავლის რამდენიმე მიზეზი:

1. სტუდენტთა გამოკითხვის და ინტერვიუების შედეგად სადოქტორო პროგრამაზე სწავლის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად კვლევის წარმოების შესაძლებლობა სახელდება, რაც, სრულიად ბუნებრივია. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, ეს მიზეზი ვერ ხსნის პარადოქსულ მაჩვენებელს.

2. უნივერსიტეტებს აინტერესებთ ახალი კადრის, პროფესორების აღზრდა, რადგან კვალიფიციური კადრი ნაკლებია, განსაკუთრებით, შედარებით "ახალგაზრდა" სფეროებში, როგორებიცაა იურისპრუდენცია, ბიზნესი, ეკონომიკა, სოციალური მეცნიერებები. 26-დან მხოლოდ 9 უნივერსიტეტია შედარებით ხანგრძლივი ისტორიის მქონე და, შესაბამისად, ჰყავს საკმარისი რაოდენობით კადრი. თუმცა, ამ უნივერსიტეტებსაც დოქტორანტი სტუდენტები ასისტენტ პროფესორებად ჰყავთ აყვანილი, მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი სტუდენტების 4% ასისტენტ პროფესორია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების 5.3%-ია ასისტენტ პროფესორი. "ახალგაზრდა" და ზრდად უნივერსიტეტებს შორის, კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტების 33%-ია ასისტენტ პროფესორი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის - 55%, აიბი ევრო კავკასიური უნივერსიტეტის - 58%, ხოლო თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის და საქართველოს საავიაციო ინსტიტუტის დოქტორანტების 100%-ია დასაქმებული ადგილზევე.

3. ინტერვიუებმა უნივერსიტეტის მენეჯმენტის წარმომადგენლებთან, ისევე, როგორც სტუდენტების ინტერნეტ გამოკითხვამ აჩვენა, რომ სადოქტორო პროგრამებზე სწავლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი საუნივერსიტეტო კარიერაა. უნივერსიტეტში დასაქმება მრავლისათვის მიმზიდველია, განსაკუთრებით, ქვეყანაში არსებული უმუშევრობის ფონზე.

უმაღლესი განათლების კანონის მიხედვით, ასისტენტ პროფესორს ან უკვე უნდა ჰქონდეს დოქტორის ხარისხი, ან, აცხადებდეს ამის სურვილს, რაც უნდა დაადასტუროს დოქტორანტი სტუდენტის სტატუსით. ამგვარი პრაქტიკა გავრცელებულია დასავლეთშიც, თუმცა, ჩვენთან განსვლაა დასავლური ანალოგებისგან: მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში დოქტორანტ სტუდენტს სასწავლო კომპონენტი მაინც უნდა ჰქონდეს დასრულებული, რომ მასწავლებლის პოზიცია მიიღოს, ჩვენთან, დოქტორანტ სტუდენტად გახდომა საკმარისია ასისტენტ-პროფესორობისათვის. კიდევ ერთი სხვაობა ის არის, რომ ასისტენტ პროფესორებს აშშ-ში გარკვეულ დროს აძლევენ, რომ მათ აჩვენონ წინსვლა პუბლიკაციებით. საქართველოს უნივერსიტეტებში ამგვარი მოთხოვნა არ არის. ამ დროისათვის, უკვე არსებობს შედარებით მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც დოქტორანტი სტუდენტები, ვისაც 5 წელი და მეტია ეს სტატუსი აქვს.

4. სადოქტორო საფეხურის ტრადიციული პრესტიჟი. სადოქტორო ხარისხის ქონა ყოველთვის მნიშვნელოვნად ითვლებოდა, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა მას უპირატესობა სხვა ხარისხებთან შედარებით სამსახურის მოპოვებისათვის. ამ მოტივს ასახელებენ როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენლები ინტერვიუებში, ისე სტუდენტები ინტერნეტ გამოკითხვაში.

გამოდის, რომ უნივერსიტეტების მოტივაციაა გაზარდონ საკუთარი კადრი, ხოლო სტუდენტების მოტივაციაა დასაქმდნენ უნივერსიტეტებში და ჰქონდეთ პრესტიჟული ხარისხი, ეს მოტივაციები ერთმანეთის შესაბამისია.

ინტერვიუებს და გამოკითხვებს არ გამოუვლენია სხვა შესაძლო მიზეზები, რომელთა განხილვასაც ქვემოთ გთავაზობთ:

განვითარებულ ქვეყნებში სადოქტორო განათლებას ხშირად განიხილავენ, როგორც გადადებულ უმუშევრობას - უმუშევარი ახლაგაზრდები აბარებენ სადოქტორო პროგრამებზე, რათა უნაყოფოდ არ დაკარგონ ის პერიოდი, როცა ვერ მუშაობენ. დასავლური ანალოგიით, შესაძლოა გვეფიქრა, რომ საქართველოში არსებული უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელია სადოქტორო პროგრამების პოპულარობის კიდევ ერთი შესაძლო მიზეზი. ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ ეს ასე არ არის. საქართველოში, როგორც ინტერვიუებმა აჩვენა, დოქტორანტი სტუდენტების უმრავლესობა დასაქმებულია. ეს კი ნიშნავს, რომ სადოქტორო საფეხურის სტუდენტების უმეტესობა ე. წ. ნახევარ განაკვეთზეა სტუდენტი. ჩვენი აზრით, აღნიშნულ ფაქტს უნივერსიტეტები საკმარის ყურადღებას არ უთმობენ, რადგან, 3 წლიანი სადოქტორო პროგრამები ამგვარი სტუდენტებისათვის მოკლეა. არარეალისტურია 3

წელიწადში სადოქტორო ნაშრომის მომზადება და სასწავლო კომპონენტის დაფარვა, თუ პარალელურად მუშაობ.

5. ამ კვლევამ გამოავლინა, რომ სადოქტორო საფეხურზე განათლების მიღება საკმაოდ იაფია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ პროგრამის გადასახადი პრაქტიკულად არ აღემატება სამაგისტრო დონის საფასურს და ზოგ შემთხვევაში საერთოდ უფასოა, ან, ძალიან მცირეა. სადოქტორო პროგრამის ფასწარმოქმნის მიზეზების და პროცესების კვლევა ცალკეა საჭირო, რადგან ჩვენი კვლევა ამ კითხვას ამომწურავ პასუხს ვერ გასცემს. არადა, უაღრესად საინტერესოა, გაირკვეს, რა პრინციპით ადებენ პროგრამას გადასახადს უნივერსიტეტები. ჩვენი კვლევის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უნივერსიტეტები სადოქტორო პროგრამებს საფასურს ადებენ არა პროგრამების ღირებულებიდან გამომდინარე, არამედ პოტენციური სტუდენტების გადახდისუნარიანობის მიხედვით: თუ სადოქტორო პროგრამაში გავითვალისწინებთ კვლევის წარმოებას, რაც, რიგ სპეციალობებში საკმარისად ძვირი ჯდება, სადოქტორო პროგრამების საფასური უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე ახლაა. მეორეს მხრივ, პოტენციურ სტუდენტებს გაუჭირდებათ მაღალი საფასურის გადახდა, რასაც ითვალისწინებენ უნივერსიტეტები. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ, თსუ-ში, ბიზნესის ფაკულტეტზე სწავლა უფრო ძვირია, ვიდრე - საბუნებისმეტყველოზე, არადა, ხარჯი პირიქითაა, ისუ-შიც მსგავსი სიტუაციაა, ბიზნესის ფაკულტეტზე სწავლა 3000 ლარი ღირს, ხოლო დანარჩენ ფაკულტეტებზე - უფასოა. შესაბამისად, სადოქტორო პროგრამის შედარებით დაბალი ღირებულება შეიძლება განვიხილოთ, როგორც სადოქტორო პროგრამების პოპულარობის კიდევ ერთი მიზეზი.

6. კიდევ ერთ მიზეზად გვესახება სადოქტორო პროგრამებზე მიღების შედარებით ადვილი მოთხოვნები. უმაღლეს სასწავლებელთა დიდ ნაწილში აპლიკანტს მოეთხოვება უცხო ენის ცოდნა და გასაუბრება. არ ბარდება ერთიანი ეროვნული გამოცდები, საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებისგან განსხვავებით, შედარებით მცირე რაოდენობით უნივერსიტეტებში თხოვენ აპლიკანტებს კვლევის პროექტის წარდგენას. ასევე, ჩვენი მონაცემების მიხედვით, მეტი სტუდენტი აბარებს იმ უნივერსიტეტებში, სადაც შედარებით ნაკლები მოთხოვნებია მიღებისას.

სადოქტორო განათლების ხანგრძლივობა კიდევ ერთი საინტერესო პარადოქსია. აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში დოქტორანტი სტუდენტები სტიპენდიას იღებენ, რაც საშუალებას აძლევს მათ, დრო სრულად დაუთმონ კვლევას და სწავლას, არ ეძებონ სხვა სამუშაო და დაამთავრონ სწავლა 3 ან 4 წელიწადში. ამავე დროს, უნივერსიტეტებს არ სურთ სწავლის ხანგრძლივობის გაზრდა, რადგან ეს მათი ხარჯების ზრდას გულისხმობს: რაც მეტს სწავლობენ სტუდენტები, მით მეტს იხდიან უნივერსიტეტები, შესაბამისად, გასაგებია 4 წლიანი ლიმიტი პროგრამის ხანგრძლივობაზე. თუმცა, ამგვარი ზღვარი გაუგებარია საქართველოში. დოქტორანტი სტუდენტები სტიპენდიას ძალიან იშვიათად იღებენ, ეს ხდება საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, აიბი ევრო კავკასიურ უნივერსიტეტში, და

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში. ასეთი სტუდენტების რაოდენობა 3%-ზე ნაკლებია. დანარჩენ შემთხვევაში სტუდენტები იხდიან განათლების თანხას, შესაბამისად, რაც მეტს სწავლობენ ისინი, მეტი თანხა შესდის უნივერსიტეტს. პარადოქსია, შესაბამისად, რომ უნივერსიტეტები საკუთარ შემოსავალს ამცირებენ! ჩვენი მონაცემებით, მხოლოდ ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღიქვა დოქტორანტი სტუდენტი, როგორც შემოსავლის პოტენციური წყარო.

ძალიან მნიშვნელოვანია სადოქტორო პროგრამების ხარისხი და ის, თუ როგორ უზრუნველყოფენ უნივერსიტეტები ხარისხს. მრავალი უნივერსიტეტი ითხოვს სტატიის, ან სტატიების გამოქვეყნებას, როგორც დაცვის აუცილებელ წინაპირობას. ეს ან შიდა, ან გარე ხარისხის უზრუნველყოფად შეიძლება ჩაითვალოს იმის მიხედვით, სად მოითხოვება ეს პუბლიკაცია - საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში, როგორც ეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემთხვევაშია, თუ - ადგილობრივში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ოდნავ მეტ თავისულებას აძლევს სტუდენტებს, რადგან გამოქვეყნება მათ შეუძლიათ ჩაანაცვლონ განვითარებული ქვეყნის უნივერსიტეტის პროფესორის რეცენზიით. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო, ილიას სახელმწიფო, ქუთაისის, საქართველოს, გრიგოლ რობაქიძისა და საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტებს აქვთ საკუთარი ჟურნალები, რაც აადვილებს გამოქვეყნებას. თუმცა, ასეთი ჟურნალების ხარისხი ძირითადად უნივერსიტეტის ფარგლებში კონტროლდება. კიდევ ერთი საკითხია მიღების წინაპირობა. თითქმის ყველა უნივერსიტეტი ითხოვს უცხო ენის გამოცდის ჩაბარებას, მაგრამ მხოლოდ ნაწილი ითხოვს კვლევის პროექტს, ან სამოტივაციო ესეს. ასევე, ინტერვიუების თანახმად, ზოგიერთ უნივერსიტეტში (ისუ, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი და სხვა) სტუდენტებს თავდაპირველად არ ჰყავთ ხელმძღვანელები, ანუ, რაღაც დროის განმავლობაში მათ აკლიათ რჩევები. დასავლურ ანალოგებთან რომ შევადაროთ, იქ სტუდენტს არ მიიღებენ სადოქტორო პროგრამაზე, თუ მას არ ჰყავს ხელმძღვანელი, თანაც, ხელმძღვანელი უკვე იცნობს მომავალი სტუდენტის საპროექტო განაცხადს.

უნივერსიტეტების წარმომადგენელთა უმეტესობა სადოქოტორო პროგრამების დაფინანსებას ასახელებს ყველაზე მნიშვნელოვან პროლემად. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემია, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, სამედიცინო უნივერსიტეტები განსაკუთრებით აღნიშნავენ ამას, რადგან, მათ სადოქტორო პროგრამები ძვირი უჯდებათ და შესაბამისად, სტუდენტებსაც მაღალ გადასახადებს უწესებენ. კიდევ ერთ პრობლემად ასახელებენ უნივერსიტეტების წარმომადგენლები სტუდენტების ნაკლებ მზაობას - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

წინამდებარე კვლევის მონაცემების საფუძველზე ჩვენ კიდევ ერთი პრობლემა დავინახეთ: სადოქტორო პროგრამის დამთავრების მაჩვენებლი ძალიან დაბალია. სტუ-ს სტუდენტების

56,2%, თსუ-ს 52%-ს, ქართული უნივერსიტეტის 23,3%-ს და ისუ-ს 17.3%-ს სტატუსი აქვთ შეჩერებული.რაც ნიშნავს, რომ ეს სტუდენტები სწავლის გაგრძელებას აპირებენ, თუმცა, ამ ეტაპზე, პრაქტიკულად არაფერს აკეთებენ. ეს პრობლემა ორივე მხრიდან არის გამოწვეული: ერთი მხრივ, უნივერსიტეტები სათანადოდ ვერ ეხმარებიან სტუდენტებს, რომ სადისერტაციო თემაზე იმუშაონ. ხანდახან დროშიც კი ზღუდავენ მათ. მეორე მხრივ, სტუდენტები სადოქტორო შრომას სერიოზულად არ აღიქვამენ და ვერ ხვდებიან, რომ მის დაწერას დიდი დრო და ენერგია სჭირდება, ეს კი მათ არ აქვთ, რადგან დროის უმეტეს ნაწილს სამსახურს უთმობენ. უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სტუდენტები არ არიან მზად სადოქტორო პროგრამის მოთხოვნებისათვის არც ცოდნით და არც ემოციურად. შესაბამისად, ეს პრობლემა დგას ორივე მხრისათვის, სტუდენტებმა არ უნდა დაისახაონ არარეალისტური მიზნები, მაგრამ არც უნივერსიტეტებმა უნდა მიიღონ ამგვარი სტუდენტები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კვლევამ, გარდა არსებული სიტუაციის აღწერისა, გამოვლინა რამდენიმე პრობლემური საკითხი, რომლებზეც საჭიროა დაფიქრება და რომელთა გამოსწორება რიგ შემთხვევაში განსაკუთრებულ ძალისხმევას და ხარჯებს არ მოითხოვს (მაგალითად, კანონმდებლობის ხარვეზები). გარდა ამისა, გამოვლინდა რამდენიმე საინტერესო საკითხი, რომლებიც შემდგომში უფრო ფოკუსირებულ კვლევას საჭიროებს. საინტერესოა გაირკვეს, როგორ ხდება სადოქტორო პროგრამების გადასახადის ფასწარმოქმნა, როგორ წარმოუდგენიათ სადოქტორო პროგრამის დაფინანსება უნივერსიტეტებს. ეს საკითხები მჭიდრო კავშირშია ძალიან მნიშვნელოვან საკითხთან, როგორიცაა სამცენიერო კვლევა, რადგან სადოქტორო საფეხურის არსი სწორედ კვლევის განხროციელებაში მდგომარეობს. საინტერესოა იმის გარკვევაც, თუ როგორ ესმით კვლევა უნივერსიტეტებს და ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, ასევე, იმ პირებს, ვინც გადაწყვეტილებებს იღებს უმაღლეს განათლებაზე. კვლევის განხორციელებას სათანადო ფინანსები და ადამიანური რესურსები ესაჭიროება, არიან უნივერსიტეტები მომარაგებული ამ რესურსებით? ამ კითხვებზე პასუხი მომავალი კვლევის საგანია.

კვლევის მეთოდი და ინსტრუმენტი

საკვლევ კითხვებზე პასუხის გასაცემად დამუშავდა შესაბამისი ლიტერატურა, ასევ ჩატარდა ინტერვიუები აკრედიტირებული უნივერსიტეტების წარმოამდგენლებთან და ონლაინ-გამოკითხვა ამ უნივერსიტეტების სადოქტორო საფეხურის სტუდენტებთან.

შეხვედრები შედგა, ძირითადად, ხარისხის მართვის სამსახურების წარმომადგენლებთან, ზოგ შემთხვევაში კი, ინტერვიუში მონაწილეობას იღებდნენ რექტორი და სადოქტორო პროგრამების სამსახურის წარმომადგენლები, პრორექტორი, ვიცე პრეზიდენტი სასწავლო დარგში და სხვა (იხ. ცხრილი #1).

საქართველოს 26 უნივერსიტეტში ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები, რომლებიც ძირთადად ფოკუსირებული იყო შემდეგ საკითხებზე: სადოქტორო პროგრამების გახსნის მამოტივირებელი ფაქტორები, მისია და იდეოლოგია, არსებული სირთულეები, სტატისტიკური მონაცემები და სხვ.

დოქტორანტების მოტივაციის გამოსაკვლევად შემუშავდა მცირე ზომის კითხვარი, რომელიც მათ დაეგზავნათ ელექტრონული სახით. სულ გამოიკითხა 462 სტუდენტი, რომელთა უმრავლესობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა (63,3%) და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს (14,3%) წარმოადგენდა.

საზღვარგარეთის ქვეყნების სადოქტორო პროგრამების სტრუქტურის აღწერა

ევროპა

ვენის უნივერსიტეტი (University of Vienna) (ავსტრია) სახელმწიფო უნივერსიტეტია და ერთ-ერთი უძველესია ევროპაში (დაარსდა 1365 წელს). ვენის უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე მოქმედებს სადოქტორო პროგრამები, რომელთა დამთავრების შემდეგ დოქტორანტს ენიჭება ან Dr. ან Ph.D. საინტერესოა ის ფაქტი, რომ პროგრამაზე მიღების დროს ვენის უნივერსიტეტი გამოჰყოფს 2 კატეგორიას - მათ, ვინც ვენის უნივერსიტეტი დაამთავრა და მათ, ვინ სხვა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. რა თქმა უნდა, პრიორიტეტი ვენის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს ენიჭებათ.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ვენის უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამების აკადემიური კომპონენტი იზომება კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) მიხედვით, თუმცა, კვლევითი კომპონენტის გაზომვა არ ხორციელდება არც აღნიშნული, ან რომელიმე სხვა სისტემით. სადოქტორო პროგრამების (როგორც Dr. ასევე Ph.D) სტანდარტული ხანგრძლივობა არის 3 წელიწადი. ვენის უნივერსიტეტში მოქმედებს ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამები საერთაშორისო სტუდენტებისათვის.

უნივერსიტეტში სადოქტორო საფეხურზე მიღებისას აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს დოკუმენტაცია სამოტივაციო წერილი და საკვლევი განაცხადი, რომელშიც ის აღწერს საკვლევ საგანსა და კვლევის მეთოდოლოგიას.

უნივერსიტეტში სწავლის გადასახადი სტანდარტულია ყველა საფეხურზე, წარმოადგენს დაახლოებით 400 ევროს სემესტრში, თუმცა სტუდენტების უმრავლესობა ან გათავისუფლებულია სწავლის გადასახადიდან, ან შემცირებული აქვს გადასახადი. აღნიშნული ხორციელდება უნივერსიტეტთან მოქმედი სხვადასხვა ფონდის დახმარებით.

კარლის უნივერსიტეტი პრაღაში (ჩეხეთი) (Charles University of Prague) სახელმწიფო კვლევითი უნივერსიტეტია, შესაბამისად სადოქტორო პროგრამების განვითარება მისთვის პრიორიტეტულია. კარლის უნივერსიტეტი სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულებს ანიჭებს ხარისხს Doctorate. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა არის სტანდარტულად 3-4 წელი, ხოლო მაქსიმუმ 9 წელი. სადოქტორო პროგრამის კომპონენეტების გაზომვა კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის მიხედვით არ ხდება.

სადოქტორო საფეხურის პროგრამებს 14 ფაკულტეტი აწარმოებს, რომელთაც ავტონომიური უფლება აქვთ დააწესონ დოქტორანტურაში მიღების წესები, კერძოდ თეოლოგიის სადოქტორო პროგრამებზე ჩაბარებისას საჭიროა, რომ აპლიკანტმა მიმართოს დეპარტამენტის ხელმძღვანელს, აცნობოს თავისი დისერტაციის თემატიკისა და სხვა დეტალების შესახებ, თუ მის საკვლევ თემატიკას მოიწონებს დეპარტამენტი, აპლიკანტს

უფლება ექნება, შეიტანოს განცხადება - პოტენციურ ხელმძღვანელთან კონსულტაციის შემდეგ აპლიკანტი აგზავნის შევსებულ აპლიკაციას, რომელიც მოიცავს შემდეგს: განაცხადის ფორმას, CV-ს, კვლევის დეტალურ აღწერას, მაგისტრის დიპლომის დადასტურებულ ასლს, წინა აკადემიური ხელმძღვანელის რეკომენდაციას, სადისერტაციო პროექტის აღწერას (2-3 გვერდი). აპლიკანტმა ასევე უნდა წარმოადგენოს სპეციალობისათვის აქტუალური ენის (გერმანული, ინგლისური, ფრანგული, იტალიური ან ესპანური) ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი. მედიცინის სადოქტორო პროგრამაზე აპლიკაციის შეტანა უფრო იოლია, მოითხოვს მხოლოდ მრჩეველთან დაკავშირებას, დოკუმეტაციის გაგზავნას, წინა განათლების დამადასტურებელი საბუთების შეტანას. სამართლის სადქოტროო პროგრამაზე მიღებისას ტარდება გამოცდა, სადაც უნდა გამოვლინდეს, აქვს თუ არა დოქტორანტს საკმარისი კომპეტენცია და მზაობა ამ პროგრამაში მონაწილეობისა და დამოუკიდებლად კვლევის ჩატარებაზე. ზოგ ფაკულტეტზე არის ინგლისურის გამოცდა დ გასაუბრება კვლევითი გამოცდილების გამოსავლენად.

საინტერესოა ის, რომ ეკონომიკური კვლევების სადოქტორო პროგრამაზე (CERGE-EI) სტუდენტს იღებენ ჯერ მოსამზადებელ სემესტრზე, რომელიც იმართება ივნისსა და ივლისში, და სადოქტორო პროგრამაზე დოქტორანტების მიღება ამ სემესტრის წარმატებით დახურვის შემთხვევაში ხდება.

სადოქტორო პროგრამაზე სწავლა ჩეხებისათვის უფასოა, ხოლო უცხოელებისათვის ფასიანია. ფასები მერყეობს წელიწადში 820 ევროდან 6500 ევრომდე. ეკონომიკური კვლევების პროგრამაზე გაიცემა სტიპენდიები. სწავლების პირველ წელს სტიპენდიის ოდენობა არის 11 500 CZK, რაც შემდეგ იკლებს, ან იმატებს დოქტორანტის მოსწრების მიხედვით. მე-4 წელს დოქტორანტები იღებენ სტიპენდიას 12 000 CZK-ს ოდენობით.

კემბრიჯის უნივერსიტეტი (University of Cambridge) (დიდი ბრიტანეთი) ერთ-ერთი ყველაზე ძველია ევროპაში, ის 1209 წელს დაარსდა. დღეს ის სახელმწიფო კვლევითი უნივერსიტეტია. კემბრიჯის უნივერსიტეტი სადოქტორო პროგრამებს ახორციელებს 22 მიმართულებით. სადოქტორო პროგრამაზე მიღებისას აპლიკანტმა უნდა წარადგინოს მნიშვნელოვანი აღმოჩენა ან კვლევა აღნიშნულ დარგში. ასევე აღსანიშნავია, რომ კემბრიჯის უნივერსიტეტში თითეულ სპეციალობაზე ჩაბარებას განსხვავებული, სპეციფიური კრიტერიუმები აქვს.

სადოქტორო პროგრამაზე დოქტორანტს შეუძლია ისწავლოს სრულ განაკვეთზე, რაც არის 9 სემესტრი, ან სრული 3 წელიწადი, ან ნახევარ განაკვეთზე, რაც წარმოდეგნს 15 სემესტრს, ანუ 5 წელიწადს. დოქტორანტს უფინანსდება სწავლების სამი წელიწადი.

კემბრიჯის უნივერსიტეტი გარდა Ph.D. ხარისხისა ასევე ანიჭებს უმაღლესი დოქტორის (Higher Doctorates) ხარისხს. პირს უმაღლესი დოქტორის ხარისხი მიენიჭება პუბლიკაციების, გამოცდილებისა და სხვა აქტივობების საფუძველზე. კემბრიჯის უნივერსიტეტი ანიჭებს უმაღლესი დოქტორის შემდეგ ხარისხებს: სამართლის დოქტორი, მეცნიერებათა დოქტორი, ფილოლოგიის დოქტორი, მუსიკის დოქტორი და ღვთისმეტყველების დოქტორი.

ციურიხის უნივერსიტეტი (ETH Zurich - Swiss Federal Institute of Technology) - დაარსებულია 1855 წელს. 16 ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სხვადასხვა სადოქტორო პროგრამა, რომელთა დამთავრების შემდეგ კანდიდატს ენიჭება PhD, MD, Dr.Sc. სამეცნიერო ხარისხები. მიღების პროცედურა გულისხმობს სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობის მოპოვებას, რის შემდეგაც აპლიკანტს ეძლევა საშუალება, შეავსოს აპლიკაცია. აპლიკანტმა უნდა წარადგინოს კვლევის გეგმა, რომელშიც მითითებული იქნება მიზნები და მეთოდი. კვლევის გეგმა უნდა დაამტკიცოს როგორც ხელმძღვანელმა, ასევე სადოქტორო კომიტეტისმა. პრორექტორის გადაწყვეტილებით ინიშნება საკვალიფიკაციო გამოცდა. აპლიკანტთა დაახლოებით ერთ მესამედს უწევს ასეთი გამოცდის ჩაბარება.

სწავლის საფასური შეადგენს 1000-2000 USD. გარკვეულ შემთხვევებში დოქტორანტები იღებენ სტიპენდიას, რომელიც შემოიფარგლება 3 თვის ხანგრძლივობით. ETH-ს არა აქვს მუდმივი სტიპენდია დოქტორანტურისთვის.

სწავლის მინიმალური ხანგრძლივობა არ არის შეზღუდული, საშუალოდ გრძელდება 4-დან 6 წლამდე. საჭიროების შემთხვევაში პრორექტორს შეუძლია დართოს დოქტორანტს ნება, გააგრძელოს სწავლა 6 წლის შემდეგაც.

კრედიტებით ფასდება მხოლოდ დოქტორანტის ინდივიდუალური სამუშაო. აუცილებელია 12 კრედიტის მოპოვება, რომელთაგან ერთი მესამედი მაინც საკვლევი სფეროს ფარგლებს გარეთ უნდა იყოს.

მიუნხენის უნივერსიტეტი (Ludwig Maximilians University of Munich) - საჯარო კვლევითი უნივერსიტეტი (მიუნხენი, გერმანია). დაარსებულია 1472 წელს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 32 სადოქტორო პროგრამა. უნივერსიტეტში ჩასარიცხად აუცილებელია აპლიკანტმა დაგეგმილი სადოქტორო პროექტის მონახაზი,.

სწავლის ხანგრძლივობა არ არის შეზღუდული. რაც შეეხება სწავლის საფასურს, საყურადღებოა, რომ 6 სემესტრი სწავლა არის უფასო, ამის შემდეგ კი დოქტორანტი იხდის 500 ევროს.

ევროპის უნივერსიტეტებისათვის საერთოა ის, რომ პროგრამაზე მიღებისას ითხოვენ კვლევის მონახაზს, პროგრამების ნაწილი სტრუქტურირებულია, ნაწილი ხელმძღვანელის წინამძღოლობით წარმოებული დამოუკიდებელი კვლევაა მხოლოდ, ხოლო ნაწილი ამ ორის გაერთიანებაა.

კანადა

ტორონტოს უნივერსიტეტი (University of Toronto) - საჯარო კვლევითი უნივერსიტეტი, დაარსებულია 1827 წელს. უნივერსიტეტი მსურველებს სთავაზობს 82 სადოქტორო პროგრამას, რომელთა წარმატებით გავლის შემდეგად დოქტორანტებს ენიჭებათ შემდეგი სამეცნიერო ხარსხები: PhD, EdD, JD, MD.

მიღების პროცედურა - აპლიკანტს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ხარისხი საშუალო მინიმალური შეფასებით B+. ასევე ზოგ პროგრამაზე მიიღებიან ბაკალვრები მინიმალური შეფასებით A-. უცხოელი მოქალაქეებისათვის აუცილებელია ინგლისური ენის დონის დადასტურება და რიგ ფაკულტეტებზე GRE ქულების წარდგენა. სწავლის საფასური სხვადასხვა ფაკულტეზე პროგრამების მიხედვით მერყეობს 7160- 41258 USD ფარგლებში, თუმცა, ყველა პროგრამა იძლევა ნაწილობრივი ან სრული ფინანსური მხარდაჭერის გარანტიას. სწავლის ხანგრძლივობა ვებ-გვერდზე არ არის მითითებული, ისევე, როგორც მოსაპოვებელი კრედიტების რაოდენობა.

აშშ

პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი სკოლა (the Graduate School at Penn State) 150 პროგრამას სთავაზობს მსურველებს. აქ გაერთიანებულია როგორც სამაგისტრო, ისე სადოქოტორო პროგრამები და მისანიჭებელი ხარისხებია - Ph D, D. ED, M. A. D;

სადოქტორო საფეხურზე სწავლის მსურველთათვის მინიმალური მოთხოვნაა აკრედიტირებული უნივერსიტეტის ბაკალავრიატის დიპლომი, თუმცა, ზოგიერთი დეპარტამენტი ითხოვს სამოტივაციო წერილს, GRE – (Graduate Record Examination) ზოგადი ტესტის დამაკმაყოფილებელ ქულას.

GRE სტანდარტიზებული ტესტია, რომელიც ETS -ის (Educational Testing Service) მიერ იქნა შემუშავებული და აქტიურად გამოიყენება ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტების მიერ, როგორც უმაღლეს სკოლაში სტუდენტის მიღების ერთერთი წინაპირობა. ტესტი მიზნად ისახავს ვერბალური აზროვნების, ლოგიკური აზროვნების და ანალიტიკური წერის უნარების გაზომვას.

აღსანიშნავია რომ პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლეს სკოლაში გარკვეულ პროგრამებზე სწავლის მსურველს მაგისტრის დიპლომი არ მოეთხოვება, რადგან სამაგისტრო საფეხურის პროგრამას სტუდენტი გაივლის სადოქტორო საფეხურზე სწავლის პირველ წელს.

პენსილვანიის სახლემწიფო უნივერსიტეტში სადოქოტორო საფეხურზე სწავლა უფასოა და ფინანსდება ერთობლივად უმაღლესი სკოლისა და იმ პროგრამის მიერ, რომელსაც სტუდენტი ირჩევს.

სტუდენტს, თუ წარმატებით გაიარა შესარჩევი ეტაპი, ეძლევა უფლება დაიწყოს მუშაობა სადოქტორო ხარისხისთვის. ამ ეტაპზე სტუდენტს დოქტორანტის ოფიციალური სტატუსი არ ენიჭება. ოფიციალურ დოქტორანტად იგი ჩაითვლება მას შემდეგ, როცა საკანდიდატო გამოცდას ჩააბარებს.

პირველი ოთხი სემესტრის განმავლობაში სტუდენტი გაივლის სხვადასხვა კურსსა და სემინარს, რათა დააგროვოს საკანდიდატო გამოცდისთვის საჭირო მინიმალური კრედიტების რაოდენობა. კრედიტების რაოდენობას (1 კრედიტი უდრის 40 საათს) აწესებს დეპარტამენტი ან სადოქტორო პროგრამა.

ამის შემდეგ, სტუდენტი გადის საკანდიდატო გამოცდაზე. საკანდიდატო გამოცდას ატარებს დეპარტამენტი, საკანდიდატო გამოცდის მიზანია გაარკვიოს, რამდენად შეუძლია სტუდენტს აწარმოოს მტკიცებულებაზე დაფუძნებული კვლევა და მონაცემთა კრიტიკული გაანალიზება და კიდევ შეაფასოს სხვა უნარები, რომელსაც ფაკულტეტის საბჭო მიიჩნევს, როგორც არსებითს სადოქტორო პროექტის განხორციელების საკითხში. სადოქტორო საფეხურის ყველა გამოცდა ფასდება A – F შეფასების შკალით. სტუდენტმა უნდა მიიღოს მინიმუმ 3.00 ქულა, რაც A – F შკალაზე შეესაბამება B-ს (very good-ძალიან კარგი). თუ ვერ დააკმაყოფილა მოთხოვნები, შესაძლებელია განმეორებითი გამოცდის დანიშვნა.

საკანდიდატო გამოცდის ჩაბარების შემდეგ სტუდენტი უკვე ოფიციალურად ითვლება დოქტორანტად. მას ეძლევა რვა წელი იმისათვის, რომ მოამზადოს დისერტაცია. ინდივიდუალური პროგრამები ზოგჯერ უფრო მოკლე დროის ლიმიტით სარგებლობენ.

რვა წლის განმავლობაში სტუდენტი ამზადებს სადისერტაციო თეზისს. მისი მუშაობა სადისერტაციო თეზისზე გაივლის ეტაპობრივ შემოწმებას დეპარტამენტის ან სადისერტაციო საბჭოს მიერ.

მას შემდეგ, რაც დაასრულებს ყველა კურსს, სტუდენტი იცავს პროსპექტუსს. ეს გამოცდა ტარდება მხოლოდ ზეპირი, ან ზეპირი და წერითი ფორმით და მიზნად ისახავს შეაფასოს სტუდენტის ცოდნა ძირითად სპეციალობაში. გამოცდა ორ ეტაპიანია. პირველ ეტაპზე სტუდენტი წარადგენს საკვლევ საკითხს - ოცდახუთ-ოცდაათ გვერდიან ნაშრომს, ხოლო მეორე ეტაპზე ხდება მისი დაცვა ზეპირი ფორმით. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა ვერ მიიღო დამაკმაყოფილებელი ქულა, ინიშნება განმეორებითი გამოცდა. გამოცდას ესწრებიან სადოქტორო საბჭოს წარმომადგენლები და დოქტორანტის ხელმძღვანელი.

საბოლოო გამოცდა (ანუ დისერტაციის დაცვა) - გულისხმობს დისერტაციის ზეპირ პრეზენტაციას - (15 წუთი), კითხვებზე პასუხს. კითხვები ეხება სტუდენტის მიერ განვლილ მთელ პროგრამას. გამოცდის მთავარი მიზანია შეაფასოს კანდიდატის ზოგადი აკადემიური მიღწევები.

თუ კანდიდატმა ვერ დააკმაყოფილა მინიმალური მოთხოვნები, მაშინ სადისერტაციო საბჭო ნიშნავს დამატებით თარიღს გამოცდისთვის.

სადოქტორო საბჭოს სულ მცირე სამმა წევრმა ხელმოწერით უნდა დაადასტუროს სადოქტორო შრომის აღიარება. თუ დოქტორანტის შრომა აკმაყოფილებს საგამომცემლო სტანდარტებს, მაშინ ის უნივერისტეტის ბიბლიოთეკას გადაეცემა.

სადისერტაციო თეზისის მომზადებისას სტუდენტი ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სადისერტაციო თეზისის სახელმძღვანელოთი.

იელის უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების უმაღლესი სკოლა სთავაზობს მსურველებს სადოქტორო სწავლებას ჰუმანიტარულ, სოციალურ, ბიოლოგიურ, ფიზიკურ და საინჟინრო მეცნიერებებზე. მისანიჭებელი ხარისხი - Ph D;

მიღებისთვის საჭიროა: The Graduate Record Examination (GRE), The General Management Admission Test (GMAT);

სადოქტორო საფეხურის ყველა აპლიკანტი უზრუნველყოფილია ფინანსური მხარდაჭერით უნივერსიტეტის მხრიდან.

წლიური სტიპენდია: 27,300$ დან 31,700$ მდე, გააჩნია სტუდენტის დისციპლინას.

იელის უნივერსიტეტის უმაღლეს სკოლაში სწავლის ხანგრძლოვობა არის ექვსი წელი. პირველი სამი წელი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო დანარჩენი სამი წელი პროსპექტუსის წარდგენას და დისერტაციის მომზადებას.

სტრუქტურა:

1. სავალდებულო და არჩევითი კურსები. რაოდენობას აწესებს დეპარტამენტი, ან სადოქტორო პროგრამა. თითოეული კურსი ერთ კრედიტს გულისხმობს.

2. გამოცდა მთავარ დისციპლინაში

3. პროსპექტუსი

4. საკანდიდატო გამოცდა (მესამე კურსის ბოლოს)

5. The Teaching Fellow Program (TFP). დიდი ყურადღება ეთმობა სტუდენტების, როგორც მომავალი მასწავლებლების მომზადებას. ამისთვის ყველა სტუდენტი გაივლის აღნიშნულ კურსს.

5. დისერტაცია

კოლუმბიის უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების უმაღლეს სკოლაში 62 სადოქტრო პროგრამა მოქმედებს. მისანიჭებელი ხარისხი - Ph D. ყველა სადოქტორო პროგრამა არის სრული განაკვეთით.

ყველა აპლიკანტი უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერით.

მიღება: სამოტივაციო წერილი (1000 სიტყვა)

GRE – ზოგადი ტესტის დამაკმაყოფილებელი ქულა. (მხოლოდ ფსიქოლოგიის მიმართულებას აქვს დაწესებული სტანდარტი - მინიმუმ 1200 ქულა).

ზოგიერთი დეპარტამენტი ითხოვს GRE საგნობრივი ტესტის ქულებსაც.

TOEFL, IELTS ტესტის ქულები მოეთხოვებათ უცხოელ სტუდენტებს.

სწავლის ხანგრძლივობა: შვიდი წელი (2002-2010 წლის დოქტორანტებს ეძლევათ ცხრა წელი დისერტაციის დასრულებისთვის).

როგორც აქ განხილული ამერიკის უნივერსიტეტების მაგალითზე ვნახეთ, დოქტორანტურაში მიღებისას კვლევის მონახაზს არ ითხოვენ. ეს შეიძლება იმიტომ, რომ ხშირად სამაგისტრო პროგრამა შედის სადოქტოროში, რაც ნიშნავს, რომ ბაკალავრი აბარებს სადოქტორო პროგრამაზე, მას კი კვლევის უნარები შედარებით ნაკლებად მოეთხოვება. სამაგიეროდ, ითხოვენ ცოდნას - ზოგადს და სპეციალობაში.

სადოქტორო პროგრამები საქართველოში

სადოქტორო პროგრამების საკანონმდებლო ჩარჩო

სადოქტორო საფეხურის პროგრამებს საქართველოში 26 უნივერსიტეტი სთავაზობს საზოგადოებას, მათგან 12 სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, ხოლო 14 - კერძო უნივერსიტეტი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სადოქტორო პროგრამების და შესაბამისად, კვლევების განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით მის სტატუსთან არის დაკავშირებული - საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ გამოყოფილია უსდ-ს სამი ტიპი:

1. კოლეჯი,
2. სასწავლო უნივერსიტეტი,
3. უნივერსიტეტი. (კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 1. §18)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაყოფა მოხდა უმაღლესი განათლების საფეხურებისა და კვლევითი საქმიანობის მიხედვით. მხოლოდ უნივერსიტეტის სტატუსის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს უმაღლესი განათლებს სამივე საფეხურზე და სამეცნიერო კვლევებს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იმ შემთხვევაშია უნივერსიტეტი, თუ მას აქვს კვლევითი საქმიანობის განხორციელების რესურსი. როგორც საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, ეს სტატუსი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას მიენიჭება ავტორიზაციის დროს. მხოლოდ უნივერსიტეტს მოეთხოვება ავტორიზაციის დროს კვლევის ბიუჯეტის წარდგენა, თუმცა, სადოქტორო პროგრამას ვერ განახორციელებს მანამ, სანამ აკრედიტაციას პროგრამა ინდივიდუალურად არ გაივლის.

ბოლონიის პროცესში გაწევრიანების შემდეგ საქართველოში აქტიურად დაიწყო რეფორმები უმაღლესი საგანმანთლებლო სფეროს, მათ შორის სადოქტორო საფეხურის დანერგვისათვის ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით. სადოქტორო საფეხურზე პროგრამების განხორციელების უფლება აქვს ყველა ავტორიზებულ უნივერსიტეტს აღნიშნული სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის მიღების შემდეგ. სადოქტორო პროგრამებისათვის ზოგადი მოთხოვნებია:

- სადოქტორო პროგრამა უნდა მოიცავდეს მინიმუმ 180 კრედიტს;
- სადოქტორო პროგრამა უნდა მოიცავდეს როგორც კვლევით, ასევე სასწავლო კომპონენტს.

სადოქტორო პროგრამების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო

საქართველოში სადოქტორო საფეხურზე საგანმანათლებლო-კვლევითი საქმიანობის განხორციელება რეგულირდება:

1. საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ,
2. საქართველოს კანონით განათლების ხარისხის განვითარების შესახებ.
3. უმაღლესი განათლების საკვალიფიკაციო ჩარჩო.

რომელიმე კონკრეტული მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამის შედგენისა და განხორციელების საკითხები შესაბამისი დარგის დარგობრივი სტანდარტებით განისაზღვრება.

ასევე, სადოქტორო საფეხურზე, როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი კომპონენტის შეფასება განსაზღვრულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის თანხმად, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით.

საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ კანონი ძალაში 2005 წლის 1 იანვარს შევიდა. 2008 წლის 10 დეკემბერის ბრძანებით კანონში შევიდა ცვლილება, რომ 2009-2010 წლისათვის უნდა განსაზღვრულიყო მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პირობები. 2009 წლის 10 აგვისტოს კანონში შევიდა ძირითადი ცვლილებები და დამატებები დოქტორანტურის თაობაზე (ცვლილებები და დამატებები).

<u>სადოქტორო პროგრამა</u>

საქართველოს კანონში უმაღლესი განათლების შესახებ დოქტორანტურა განისაზღვრება როგორც „აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო და სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით“ (კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 2.ტ).

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სადოქტორო პროგრამის მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 180 კრედიტი (კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 46.2).

<u>დოქტორანტურაში სწავლა</u>

კანონის თანახმად, სადოქტორო საფეხურზე სწავლის უფლება აქვს პირს, რომელსაც აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 49.1), ასევე პირს, რომელსაც დამთავრებული აქვს

ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა და რომელიც აღნიშნული პროგრამის დასრულების დროს უფლებამოსილი იყო, რომ სწავლა ასპირანტურაში გაეგრძელებინა (კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 102). სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორანტს მიენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი შესაბამისი მიმართულებისა და/ან დარგის მითითებით (კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 49.3). აღნიშნული კანონის თანახმად, დოქტორის აკადემიური ხარისხს უთანაბრდება 2004 წლამდე მინიჭებული დოცენტის ან პროფესორის აკადემიური წოდება (კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 101).

უმაღლესი განათლების შესახებ კანონის თანახმად (კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 49.2) უნივერსიტეტმა სტუდენტი უნდა უზრუნველყოს კვლევის ჩატარებისათვის შესაბამისი პირობებით და გამოუყოს სამეცნიერო ხელმძღვანელი. დოქტორანტს ხარისხს ანიჭებს სადისერტაციო საბჭო.

<u>სადისერტაციო საბჭო</u>
სადისერტაციო საბჭო დოქტორის აკადემიური ხარიხის მიმნიჭებელი ორგანოა, რომელიც იქმნება ან ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში და/ან უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით. სადისერტაციო საბჭოს ფუნქციებია სადოქტორო საბჭოს დებულების - საბჭოს დაკომპლექტების, და თავმჯდომარის არჩევის წესის, ასევე დისერტაციის დაცვის პროცედურების შედგენა.

სადისერტაციო საბჭო შედგება მხოლოდ სრული და ასოცირებული პროფესორებისაგან. სადისერტაციო საბჭოში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირების მოწვევის წესი უნდა განისაზღვროს სსიპ უნივერსიტეტის წესდებით.

საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - უსდ-მ შესაძლოა გააფორმოს ხელშეკრულება სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან სადოქტორო პროგრამის განხორციელების მიზნით. (კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 49)

საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ

საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ ძალაში შევიდა 2010 წლის 1 სექტემბრიდან და მისი მიზანია, განსაზღვროს განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა და გარე მექანიზმების სამართლებრივი საფუძვლები (კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ, მუხლი 1)
აღნიშნული კანონის თანახმად დოქტორანტურის სადოქტორო საფეხურზე საგანმანათლებლო პროგრამების ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ აღნიშნული პროგრამების აკრედიტაციის შემდეგ (კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ, მუხლი 17). აკრედიტაციაზე პროგრამის წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც

უნივერსიტეტი მოიპოვებს ავტორიზაციას (კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ, მუხლი 8). აკრედიტაციაზე უარის თქმისა ან აკრედიტაციის გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი ვალდებულია შეწყვიტოს სადოქტორო პროგრამების განხორციელება, ხოლო დოქტორანტებს 5 წლით უჩერდებათ სტუდენტის სტატუსი და აქვთ უფლება, რომ ისარგებლონ მობილობით (კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ, მუხლი 24).

უმაღლესი განათლების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო დამტკიცდა 2010 წლის 10 დეკემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით №120/ნ. აღნიშნული დოკუმენტი ბოლონიის პროცესის ფარგლებში შემუშავდა ლონდონის კომუნიკეს (2007 წელი) მოთხოვნის შესაბამისად დუბლინის დესკრიპტორზე დაყრდნობით.

ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში გაწერილია სწავლის შედეგები და კომპეტენციები, რომლებიც მიღწეულ უნდა იქნეს ზოგადი განათლების, პროფესიული განათლებისა და უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ. აღნიშნული დოკუმენტი ასევე არეგულირებს აკადემიურ კვალიფიკაციებს, რომლებიც მიენიჭება უმაღლესი განათლების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო, ასევე პროფესიული განათლების პროგრამების კურსდამთავრებულებს.

სადოქტორო პროგრამების მიმართულებით ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო იმეორებს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს, პროგრამის მოცულობის მინიმუმის, მისი ფუნქციონირებისა და პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ:

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში. (საკვალიფიკაციო ჩარჩო, მუხლი 2.3.)

- უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე სწავლის გაგრძელება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს არანაკლებ მაგისტრისა ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. სადოქტორო პროგრამაზე მიღების საკითხები განისაზღვრება უნივერსიტეტის მიერ. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 180 კრედიტს (საკვალიფიკაციო ჩარჩო, მუხლი 2.10).
- „მესამე საფეხურის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „დოქტორი“, მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. იგი სრულდება დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე საკვალიფიკაციო ნაშრომის შემუშავებითა და საჯარო დაცვით.“ (საკვალიფიკაციო ჩარჩო, მუხლი 4)

უმაღლესი განათლებისა საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-3 მუხლი ეხება სწავლის შედეგებს, რომლების მიღწევაზე უნდა იყოს ორიენტირებული სადოქტორო პროგრამა. სწავლის შედეგები უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე განისაზღვრება კვალიფიკაციათა აღმწერით, რომელიც მოიცავს შემდეგ 6 კრიტერიუმს:

1. ცოდნა და გაცნობიერება;
2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
3. დასკვნის უნარი;
4. კომუნიკაციის უნარი;
5. სწავლის უნარი;
6. ღირებულებები. (საკვალიფიკაციო ჩარჩო, მუხლი 3.1)

უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის - სადოქტორო პროგრამების სწავლის შედეგებია:
„ა) ცოდნა და გაცნობიერება – დარგის/ქვედარგის ან დარგთაშორისი სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება;
ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; შემუშავება ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომებისა, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;
გ) დასკვნის უნარი – ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;
დ) კომუნიკაციის უნარი – ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე;
ე) სწავლის უნარი – უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში;
ვ) ღირებულებები – ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.“ (საკვალიფიკაციო ჩარჩო)
სადოქტორო პროგრამის კვალიფიკაციათა აღმწერი შეიძლება დაზუსტდეს შესაბამისი დარგობრივი სტანდარტით.

დარგობრივი სტანდარტები

ამჟამინდელი მდგომარეობით, საქართველოში დამტკიცებულია 3 დარგობრივი სტანდარტი:

- სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი, რომელიც დამტკიცებულია 2011 წლის 1 ივნისის ბრძანებით #224.
- მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი, რომელიც დამტკიცებულია 2011 წლის 1 ივნისის ბრძანებით #225.
- მასწავლებლის განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი, რომელიც დამტკიცებულია 2011 წლის 24 ოქტომბრის ბრძანებით #923.

დარგობრივი სტანდარტები/მახასიათებლები შემუშავდა 2009 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „საუნივერსიტეტო კურიკულუმის განვითარების პროექტის“ ფარგლებში.

მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის თანახმად, „სადოქტორო პროგრამა მედიცინის დარგში მოიცავს სწავლებას და სამეცნიერო კვლევას, რომლის თეორიულ, ექსპერიმენტულ და კლინიკურ შედეგებს არსებითი მნიშვნელობა ექნება სამედიცინო-ბიოლოგიური მეცნიერებისათვის. დოქტორანტურის ძირითადი მიზანია სამეცნიერო-პედაგოგიური კადრის მომზადება. დოქტორანტურა სრულდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. დოქტორანტის სტატუსი და დოქტორის აკადემიური ხარისხის მიღება სავალდებულოა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში სრული ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად.“ (მედიცინის დარგობრივი მახასიათებელი).

ასევე აღსანიშნავია, რომ დარგობრივ სტანდარტში მედიცინის და სამართლის სადოქტორო პროგრამების მოცულობა განსაზღვრულია 180 კრედიტით. სტანდარტში არაა მითითებული, რომ პროგრამა შეიძლება მოიცავდეს 180 კრედიტზე მეტს, რის საშუალებასაც იძლევა საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ და უმაღლესი განათლების საკვალიფიკაციო ჩარჩო.

სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელში აღნიშნულია, რომ სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სამეცნიერო კადრების მომზადება აღნიშნული მიმართულებით, ის აგებული უნდა იყოს თეორიულ სამეცნიერო პროფილით და უნდა მოიცავდეს როგორც სასწავლო, ასევე კვლევით კომპონენტს.

ამავე სტანდარტში აღნიშნულია, რომ დოქტორანტურა მოიცავს 180 ECTS კრედიტს (სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი).

დოქტორანტის შეფასების სისტემა

დოქტორანტის შეფასების სისტემა განსაზღვრულია „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-4 მუხლით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით. აღსანიშნავია, რომ დოქტორანტის აკადემიური კომპონენტის შეფასებისას მოქმედებს იგივე წესი, რაც საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურების სტუდენტებისათვის. (კრედიტების გაანგარიშების წესი, მუხლი 4.7)
დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხორციელდება შემდეგი სისტემით:

- „ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი
- ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- საშუალო (*bene*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.“ (კრედიტების გაანგარიშების წესი, მუხლი 4.10)

ამ შემთხვევაში, პირველი 5 შეფასება დადებითია და დოქტორანტს ენიჭება დოქტორის ხარისხი, ხოლო ბოლო ორი - უარყოფითი. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს აქვს უფლება, რომ 1 წლის მანძილზე გამოასწოროს და გადაამუშაოს ნაშრომი (კრედიტების გაანგარიშების წესი, მუხლი 4.12), ხოლო სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას (კრედიტების გაანგარიშების წესი, მუხლი 4.13).

საინტერესოა ამავე ბრძანებაში არსებული მუხლი 4. ”სტუდენტების მიღწევების შეფასება”, სადაც, წერია, რომ კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ. სავარაუდოდ, აქ არ იგულისხმება სადოქტორო ნაშრომი, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, რომ უნდა არსებობდეს სადოქტორო ნაშრომის შესრულებისათვის გამოყოფილი კრედიტების შესაბამისი სილაბუსი/სილაბუსები, რაც, ძალიან გაართულებს სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირებას და განხორციელებას. ეს კანონი ნაკლებად ითვალისწინებს სადოქტორო

სწავლების სპეციფიკას, რომელიც, განსხვავდება საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების საფეხურებისაგან. სადოქტორო სწავლების მთავარი ამოცანა კვლევის განხორციელებაა, ხოლო სწავლის მთავარი შედეგი ისაა, რომ კურსდამთავრებული ჩამოყალიბებული მკვლევარია, რომელსაც დამოუკიდებლად შეუძლია სრულფასოვანი კვლევის განხორციელება იმ დონეზე, რომ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში შეეძლოს სტატიის გამოქვეყნება. შესაბამისად, სწავლება, კურსები, კრედიტების განაწილება ამ საფეხურზე საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებისაგან განსხვავებით ხდება.

ბოლონიის პროცესის ფარგლებში არსებული რეგულაციები

ბოლონიის პროცესში სადოქტორო საფეხურის შექმნის შესახებ რეკომენდაციები 2003 წლის ბერლინის კომუნიკეშია წარმოდგენილი. ამ ეტაპამდე უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნისკენ მიმართულ დოკუმენტებში აკადემიური განათლების სტრუქტურირების საკითხის განსაზღვრა განიხილებოდა.

1999 წელს ბოლონიის დეკლარაცია გაფორმდა, რომელსაც ხელი ევროპის 29 სახელმწიფოს წარმომადგენელმა მოაწერა. ბოლონიის დეკლარაციაში გამოიყო 6 ძირითადი მიზანი, რომელთაგან აკადემიური ხარისხის პროგრამების სტრუქტურირებას ეხება ორი – „იოლად გასაგები და შესადარებელი აკადემიური ხარისხების სისტემის შემოღება“ და „ძირითადად ორ მთავარ საფეხურზე დაფუძნებული სისტემის შემოღება - დიპლომამდელი და დიპლომის შემდგომი საფეხურები“, თითოეული საფეხურის წინაპირობების ჩამოყალიბება, კვალიფიკაციის მინიჭების საფუძვლის აღწერა და სხვა (ბოლონიის დეკლარაცია). ბოლონიის პროცესის აღნიშნული მიზნების დანერგვა უნდა განხორციელებულიყო 2000-2010 წლებში.

2001 წელს პრაღის კომუნიკეში მინისტრებმა აიღეს ვალდებულება, რომ დაენერგათ უმაღლესი განათლების ორსაფეხურიანი სისტემა, რომელიც დიპლომამდელ და დიპლომის შემდგომ განათლებას გულისხმობდა, რაც, ამ პერიოდში რიგ ქვეყნებში გავრცელებული პრაქტიკის - საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურების ფუნქციონირების დახვეწასა და მათ სხვა ქვეყნებში დანერგვას წარმოადგენდა. „აკადემიური ხარისხების შესაბამის პროგრამებს შესაძლოა და, ცხადია, უნდა ჰქონდეთ სხვადასხვა მიმართულებები და განსხვავებული პროფილები, რათა დაკმაყოფილდეს პიროვნებების, აკადემიური პერსონალისა და შრომის ბაზრის მრავალფეროვანი მოთხოვნილებები“ - ნათქვამია პრაღის კომუნიკეში (პრაღის კომუნიკე).

2003 წელს ბერლინის კომუნიკეში მინისტრები აღნიშნავდნენ, რომ ისინი აგრძელებდნენ უმაღლესი განათლების რესტრუქტურირებას და ორსაფეხურიანი სისტემის დანერგვას, რაც დასრულებული იქნებოდა 2005 წლისათვის. მინისტრები ბოლონიის პროცესის წევრ ქვეყნებს

მოუწოდებდნენ, რომ უნდა შემუშავებულიყო იოლად შესადარებელი და თავსებადი კვალიფიკაციის სტრუქტურა სამუშაოს მოცულობის, დონის, სწავლის შედეგების, კომპეტენციებისა და პროფილის აღწერის საფუძველზე (ბერლინის კომუნიკე).

უმაღლესი განათლების სტრუქტურირების საკითხის დახვეწამ მოიტანა სადოქტორო საფეხურის გამოყოფის აუცილებლობა, რომელიც ასევე ბერლინის კომუნიკეში დაისვა. დოქტორანტურის დონის შექმნის საკითხი დადგა მას შემდეგ, რაც უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისა და კვლევის ევროპული სივრცის დაკავშირების ნაბიჯები გადაიდგა და ისინი მიჩნეულ იქნა ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ორი საყრდენად. „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევების, კვლევის სწავლებისა და ინტერდისციპლინურობის ხელშეწყობა უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და ევროპის უმაღლესი განათლების კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის. მინისტრები მიიჩნევენ, რომ უფრო მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდონ დოქტორანტურისა და დოქტორანტურის შემდგომ საფეხურებზე მობილობას და ამ პროცესებში ჩართულ სასწავლებლებს ურჩევენ გააძლიერონ თანამშრომლობა დოქტორანტურაში სწავლისა და ახალგაზრდა მეცნიერების მომზადების სფეროში“ (ბერლინის კომუნიკე).

2005 წელს ბერგენის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ სადოქტორო პროგრამების ძირითად კომპონენტს „წარმოადგენს ცოდნის გაღრმავება ორიგინალური კვლევის მეშვეობით“ (ბერგენის კომუნიკე).

ბერგენის კომუნიკეში ასევე განსაზღვრულია დოქტორანტურის საფეხურთან დაკავშირებული ცალკეული დეტალი:

1. სადოქტორო პროგრამის მოცულობა ნორმალური სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით უნდა შეესაბამებოდეს 3-4 წელიწადს;

2. მინისტრებმა მოუწოდეს, რომ სადოქტორო პროგრამებში უზრუნველყოფილი იქნას ინტერდისციპლინარული მიდგომა და იმ უნარების განვითარება, რომელიც დააკმაყოფილებენ შრომის ბაზრის მოთხოვნებს;

3. სადოქტორო პროგრამების დეტალური რეგულირება არ არის მიზანშეწონილი;

4. სადოქტორო პროგრამის მონაწილე წარმოადგენს როგორც სტუდენტს, ასევე მკვლევარს კარიერის ადრეულ ეტაპზე (ბერგენის კომუნიკე).

ამავე კომუნიკეში დაისვა საკითხი, რომ უნდა გაზრდილიყო სადოქტორო პროგრამის სტუდენტთა რაოდენობა წევრ ქვეყნებში.

აღსანიშნავია, რომ სწორედ 2005 წელს ბერგენის სამიტზე საქართველო გაწევრიანდა ბოლონიის პროცესში.

2007 წელს ლონდონის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ „უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისა და ევროპის კვლევის სივრცის ურთიერთკავშირის გაზრდა მნიშვნელოვან ამოცანად რჩება“ (ლონდონის კომუნიკე). აღნიშნულის მისაღწევად კი მინისტრები საჭიროდ მიიჩნევენ სადოქტორო საფეხურის გაძლიერებას და დოქტორანტი მკვლევარების სტატუსის, კარიერის შესაძლებლობებისა და დაფინანსების გაზრდას. მინისტრებმა მოუწოდეს უნივერსიტეტებს, რომ სადოქტორო პროგრამების სტრატეგიულ განვითარებასა და დოქტორანტი მკვლევრების კარიერის დაგეგმვისა და შესაძლებლობების გაზრდის პოლიტიკის შემუშავებაზე ეზრუნათ (ლონდონის კომუნიკე).

აღნიშნული კომუნიკეს ფარგლებში ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციას დაევალა უზრუნველეყო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობა ინოვაციური სადოქტორო პროგრამების, სწავლის ხელმისაწვდომობის, დოქტორანტის კვლევის წარმართვისა და შეფასების პროცედურების, ასევე ტრანსფერული უნარების განვითარებასა და დასაქმების მზაობის გაძლიერების მიმართულებით (ლონდონის კომუნიკე).

ლუვენის კომუნიკე (2009 წელი) წევრ ქვეყნებს მოუწოდებს, რომ გააძლიერონ საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის სადოქტორო საფეხურზე განხორციელებული პროგრამების ინოვაციური და შემოქმედებითი პოტენციალი. კომუნიკეში აღნიშნულია, რომ სადოქტორო საფეხურზე უნდა წარმოებდეს ხარისხიანი კვლევა, რაც სასურველია, რომ შესრულდეს ინტერდისციპლინარული მიდგომით (ლუვენის კომუნიკე).

2010 წელს, ბოლონიის პროცესის დეკადის დასრულებისას, გაფორმდა ვენა-ბუდაპეშტის დეკლარაცია, რომელშიც აღინიშნა, რომ უმაღლესი განათლება არის საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ობიექტი. ის არის წამყვანი ძალა სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციებისათვის. ასევე, 2010 წელს ბოლონიის პოლიტიკის განაცხადში აღინიშნა, რომ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე დანერგილია (ვენა-ბუდაპეშტის დეკლარაცია).

2012 წელს ბუქარესტის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ კვლევისა და სწავლის კომპონენტს უნდა შეიცავდეს ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა. ასევე წევრმა ქვეყნებმა აიღეს ვალდებულება, რომ ხელს შეუწყობდნენ ხარისხის, გამჭვირვალეობის, დასაქმებისა და მობილობის ზრდას სადოქტორო საფეხურზე.

სადოქტორო პროგრამების აღწერა

<u>დოქტორანტების რაოდენობა</u>

2012-2013 სასწავლო წელს საქართველოში 4677 დოქტორანტი სწავლობს. დოქტორანტების რაოდენობით ლიდერობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 1690 დოქტორანტით, მეორე ადგილას თსუ 1401 დოქტორანტით, ხოლო მესამე ადგილას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 467 დოქტორანტით. შემდეგი უნივერსიტეტი თითქმის 250 დოქტორანტით ჩამორჩება. (იხ. ცხრილი # 2).

2012-2013 სასწავლო წელს სადოქტორო პროგრამებზე 931 დოქტორანტი ჩაირიცხა. აქ თსუ ლიდერობს (304 სტუდენტი), მეორე ადგილზეა სტუ (273 სტუდენტი), ხოლო მესამე ადგილას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (94 სტუდენტი), 69 სტუდენტი მიიღო საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულმა უნივერსიტეტმა, 60 სტუდენტი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა (იხ. ცხრილი #3).

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 2011 წლის მონაცემებით, 2008 წელს საქართველოში სადოქტორო პროგრამებზე სწავლობდა 1588 დოქტორანტი, 2009 წელს 2986, ხოლო 2010 წელს - 3825, ხოლო 2012 წელს - 4677. 2010-11 წლებს შორის დოქტორანტების რაოდენობის უმნიშვნელო შემცირება გამოწვეული შეიძლება იყოს შემდეგით: ავტორიზაციის მექანიზმი და უსდ-ების 3 ტიპად დაყოფის საკითხი 2010 წელს შევიდა უმაღლესი განათლების შესახებ კანონში, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია სადოქტორო პროგრამების შემცირება საქართველოში - უსდ-ების ნაწილმა უარი თქვა სადოქტორო პროგრამების სწავლებაზე, ნაწილმა კი გააერთიანა პროგრამები მიმართულებათშორის და მულტიმიმართულებიან კლასტერებად. 2011 წელს დაფიქსირდა დოქტორანტების მობილობები იმ უსდ-ებიდან, რომლებმად დაკარგეს სადოქტორო საფეხურზე სწავლების უფლება სხვა უნივერსიტეტებში.

სადოქტორო პროგრამების ხანგრძლივობა

საქართველოში სადოქტორო პროგრამების ხანგრძლივობა ძირითადად არის მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 5 წელი, ხოლო ECTS კრედიტების რაოდენობა წარმოადგენს 180 კრედიტს. სწავლის მინიმალური ხანგრძლივობა (3 წელი), რასაც, სავარაუდოდ, ორი მიზეზი აქვს:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის მიხედვით აკადემიური წლის მანძილზე კრედიტების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 75 კრედიტს, ხოლო საშუალო რაოდენობად სამივე საფეხურის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო) პროგრამებისათვის მიჩნეულია აკადემიური წლის მანძილზე 60 ECTS კრედიტი. უმაღლესი განათლების საქართველოს კანონის თანახმად, სადოქტორო პროგრამების მოცულობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 180 ECTS კრედიტს. სწორედ ზემოაღნიშნული რეგულაციები გახდა იმის წინაპირობა, რომ საქართველოს უნივერსიტეტების აბსოლუტურ უმრავლესობაში სწავლის მინიმალური ხანგრძლივობაა 3 წელიწადი, ხოლო კრედიტების რაოდენობა მინიმუმ 180.

შესაძლებელია პროგრამების არსებული ხანგრძლივობის მიზეზი ასევე იყოს ევროპული და ამერიკული უნივერსიტეტების პრაქტიკის მექანიკური გადმოტანა. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, განპირობებულია იმით, რომ დოქტორანტებს ევროპული და ამერიკული უნივერსიტეტები უზრუნველყოფენ სტიპენდიით და შესაბამისად მათ ინტერესებში არ შედის სწავლის ხანგრძლივობის გაზრდა. საქართველოში სტუდენტი თვითონ იხდის სწავლის საფასურს, ამდენად, უნივერსიტეტის ფინანსურ ინტერესებს არ დააზარალებს, თუ სტუდენტი მრავალი წელი ისწავლის, პირიქით, რაც უფრო მეტ ხანს გრძელდება მისი სასწავლო-კვლევითი აქტივობები, მით მეტია ამ უნივერსიტეტის შემოსავალი. სადოქტორო პროგრამების ხანგრძლივობისა და კრედიტების რაოდენობის შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ ცხრილი #4.

აღსანიშნავია, რომ სადოქტორო პროგრამა სპეციფიკურია მისი კვლევითი კომპონენტის გამო - 180 კრედიტის დიდი ნაწილი, დაახლოებით 2/3 კვლევით კომპონენტს უკავია, რომლის ხანგრძლივობის ზუსტი განსაზღვრა ხშირად ძალიან ძნელია და ამავე დროს, განსხვავდება დარგების მიხედვით.

სადოქტორო პროგრამაზე სწავლის საფასური

სადოქტორო საფეხურზე სწავლა ძირითადად ფასიანია, თუმცა, არის უნივერსიტეტები, რომლებიც სასწავლო პროგრამების ნაწილს უფასოდ სთავაზობენ დოქტორანტებს, კერძოდ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამები, გარდა ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამისა, უფასოა. ასევე, გარკვეული რაოდენობით უფასო ადგილებს სთავაზობს დოქტორანტებს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი.

სადოქტორო საფეხურზე სწავლის გადასახადი საშუალოდ მერყეობს 300-დან 7000 ლარამდე სემესტრში. როგორც ირკვევა, გადასახადი განსხვავდება პროგრამების მიხედვით. მაგალითად, შედარებით მაღალია სწავლების საფასური ბიზნესისა და სამართლის სადოქტორო პროგრამებზე, ვიდრე სოციალურ ან ტექნიკურ პროგრამებზე (იხ. ცხრილი #5).

უნივერსიტეტების ის ნაწილი, რომელიც სადოქტორო პროგრამას პირველ რიგში განიხილავს, როგორც საკუთარი ადამიანური რესურსის ზრდის გზას, სადოქტორო პროგრამებს აფინანსებს. ნაწილობრივი და/ან სრული დაფინანსება მოქმედებს თსუ-ში, აიბი ევროკავკასიურ უნივერსიტეტში, სდასუში. თსუ-ს ფაკულტეტები აფინანსებენ იმ დოქტორანტებს, რომლებიც უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ პოზიციაზე მუშაობენ. აიბი ევრო-კავკასიურ უნივერსიტეტში დაფინანსება ხდება დამსახურებისა და საჭიროების მიხედვით (need based and merit based), სდასუში კი სოციალური პროგრამის ფარგლებში ერთ-ერთ დოქტორანტს შემცირებული აქვს სწავლის გადასახადი. ასევე აღსანიშნავია, რომ ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში თეორიულად შეიძლება დაფინანსდეს დოქტორანტი, თუმცა ეს აქამდე არ მომხდარა, რადგან დაფინანსება პირდაპირ დოქტორანტებზე არ არის მიმართული, არამედ, ყველა საფეხურის სტუდენტზე ერთად. დაფინანსება ხდება რეიტინგის მიხედვით, რომელსაც სამივე საფეხურის სტუდენტების საშუალო შეწონილი ნიშნით ადგენენ, და დოქტორანტები ამ რეიტინგის პირველ სამეულში ვერ ხვდებიან, შედარებით დაბალი ქულების გამო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დოქტორანტისა და ბაკალავრიატის სტუდენტისა თუ მაგისტრანტის სწავლის მოტივაცია და თვითონ საგანმანათლებლო პროგრამის ხასიათი თვისებრივად განსხვავებულია. სადოქტორო საფეხურის განვითარებაში უნივერსიტეტის დაინტერესება ზოგადად მაღალია, ამდენად უმჯობესია თუ დაფინანსების განსხვავებული სისტემა იქნება ამ საფეხურის სტუდენტებისათვის.

საქართველოში არ არსებობს დოქტორანტურის დაფინანსების სახელმწიფო მექანიზმი, მაგრამ შესაძლებელია, დოქტორანტებმა დაფინანსება მიიღონ სხვადასხვა წყაროდან. მაგალითად, საპრეზიდენტო ფონდის გრანტი ახალგაზრდა მეცნიერებისათვის, სახელმწიფო გრანტები დოქტორანტებისათვის, სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამები (Erasmus Mundus და სხვა.) აღსანიშნავია, რომ ყველა ამ შესაძლებლობის გამოყენება დამოკიდებულია დოქტორანტის მოტივაციაზე მიმართოს ცალკეულ ორგანიზაციას გრანტის მისაღებად. გრანტების მიღების შესაძლებლობა შეზღუდულია ადგილების სიმცირის გამო. საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ფარგლებში დოქტორანტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს დაფინანსება და კვლევა ჩაატაროს ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებში.

აკადემიური და კვლევითი კომპონენტების განაწილება

სადოქტორო პროგრამები მოიცავს როგორც სასწავლო/აკადემიურ, ასევე კვლევით კომპონენტს. კომპონენტების პროცენტული გადანაწილება განსხვავებულია სხვადასხვა უნივერსიტეტში, თუმცა, ხშირ შემთხვევაში გვხვდება განაწილება 67% (120 კრედიტი) კვლევითი კომპონენტისათვის, ხოლო 33% (60 კრედიტი) აკადემიური კომპონენტისათვის (იხ. ცხრილი #6).

როგორც აღინიშნა, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია სადოქტორო პროგრამის მოცულობის მინიმალური ზღვარი, რაც წარმოადგენს 180 ECTS კრედიტს. საქართველოს უნივერსიტეტებში სადოქტორო პროგრამების მოცულობა განსაზღვრულია როგორც 180 კრედიტი, ან როგორც მინიმუმ 180 კრედიტი. ასევე, კანონმდებლობის თანახმად, სადოქტორო პროგრამები უნდა შედგებოდეს კვლევითი და აკადემიური ელემენტებისაგან, და პროგრამის ძირითად ნაწილს უნდა წარმოადგენდეს კვლევითი კომპონენტი, რომელიც მოიცავს სადოქტორო დისერტაციასთან დაკავშირებულ სამუშაოს. აკადემიური ნაწილი მოიცავს იმ აკადემიურ დისციპლინებს, სადოქტორო სემინარებსა და პრაქტიკულ დატვირთვას, რაც გათვალისწინებულია კონკრეტული სადოქტორო პროგრამით.

საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის წარმომადგენელმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ რეკომენდებული ოპტიმალური განაწილება არის 60 კრედიტი აკადემიური კომპონენტისათვის და 120 კვლევისათვის, თუმცა, დარგის თავისებურებების მიხედვით, შეიძლება კრედიტები სხვაგვარად განაწილდეს.

ცხრა უნივერსიტეტში, რაც საქართველოში მოქმედი უნივერსიტეტების 36%-ს წარმოადგენს, კვლევითი/სასწავლო კომპონენტების მიმართებაა 67/33, კვლევითი კომპონენტი პროგრამის 2/3, ანუ 120 კრედიტი (67%) არის, ხოლო აკადემიური - 1/3 ანუ 60 კრედიტია (33%). ეს უნივერსიტეტებია:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ)
2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ილიაუნი)
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ)
4. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
5. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
6. კავკასიის უნივერსიტეტი
7. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
8. ქუთაისის უნივერსიტეტი
9. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აღნიშნული უნივერსიტეტებიდან თსუ-ში და თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში აკადემიური და კვლევითი კომპონენტების შეფარდება განსხვავდება პროგრამების მიხედვით:

- თსუ-ში კვლევითი კომპონენტის მოცულობა ვარირებს 120 კრედიტიდან (67%) 140 კრედიტამდე (78%), ხოლო აკადემიური კომპონენტის - 40 კრედიტიდან (22%) 60 კრედიტამდე (33%).

- თავისუფალ უნივერსიტეტში კვლევითი კომპონენტის მოცულობა ვარირებს 120 კრედიტიდან (67%) 150 კრედიტამდე (83 %), ხოლო აკადემიური - 30 კრედიტიდან (17 %) 60 კრედიტამდე (34%).

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში კვლევითი კომპონენტი წარმოდგენს 135 კრედიტს, ანუ 75%-ს, ხოლო აკადემიური - 45 კრედიტს, ანუ 25 %-ს.

ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სადოქტორო პროგრამები 2 ტიპისაა, თეორიული და სახელოვნებო. შესაბამისად განსხვავდება მათი პროგრამების შემადგენელი კომპონენტების მოცულობა: თეორიულ პროგრამებში კვლევითი კომპონენტი წარმოადგენს 146 კრედიტს (81%), ხოლო აკადემიური 34 კრედიტს (19%), სახელოვნებოში კვლევითი კომპონენტის მოცულობაა 150 კრედიტი (83%), ხოლო აკადემიურის 30 კრედიტი (17%).

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში აკადემიური და კვლევითი კომპონენტების მოცულობა თანაბარია და წარმოადგენს 90-90 კრედიტს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ უნივერსიტეტი თანაბარ პრიორიტეტს ანიჭებს როგორც კვლევით ნაწილს, ასევე აკადემიურს. აღნიშნული მიდგომა განსხვავებულია სადოქტორო პროგრამებისადმი არსებული საზოგადოდ მიღებული მიდგომისაგან და ქმნის შთაბეჭდილებას, რომ უნივერსიტეტი სწორად ვერ აღიქვამს კვლევის მნიშვნელობას სადოქტორო პროგრამაზე.

განსხვავებული მდგომარეობაა შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში, სადაც კვლევითი კომპონენტი მოიცავს პრაქტიკულ-შემოქმედებითი კომპონენტსაც. სახელოვნებო ფაკულტეტებზე შემოქმედებით პრაქტიკაზე დაფუძნებულ მეცნიერულ ანალიზსა და კვლევას ეთმობა 120 კრედიტი (67%), რომელშიც 70 კრედიტი (39%) გათვალისწინებულია დისერტაციისთვის, ხოლო პრაქტიკულ შემოქმედებით ნიმუშს/პროექტს ეთმობა 50 კრედიტი (28%). რაც შეეხება აკადემიურ/სასწავლო კომპონენტს, იგი მოიცავს 60 კრედიტს (33%).

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში აკადემიური და კვლევითი კომპონენტის განაწილების მოქნილი სისტემა აქვთ. აკადემიური კომპონენტის მინიმალური სავალდებულო ზღვარია 20 კრედიტი (10 - სასწავლო დისციპლინები, 10 - პრაქტიკა), ხოლო მაქსიმალური ზღვარი - 70 კრედიტი. კვლევითი კომპონენტი ვარირებს 145 კრედიტიდან 175 კრედიტამდე. უნივერსიტეტში კონტროლდება სტუდენტის მიერ აკადემიური და კვლევითი კომპონენტის დაგროვების საკითხი. ცხადია, რომ დოქტორანტი აკადემიური კომპონენტის მხოლოდ მინიმალური ზღვარის დაგროვების შემთხვევაში არაა ვალდებული მოაგროვოს 175 კრედიტი კვლევის კომპონენტში, რადგან სავალდებულო 180 კრედიტს ის კვლევით კომპონენტში 160 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში შეასრულებს.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სადოქტორო პროგრამის ძირითადი მიზანი კვლევის განხორციელება და ახალი ცოდნის შექმნაა. შესაბამისად, კვლევით კომპონენტს უნდა ჰქონდეს მეტი წილი, ვიდრე აკადემიურს, რაც ყველა უნივერსიტეტში არ არის დაცული. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უნივერსიტეტების მცირე ნაწილს არ აქვს გაცნობიერებული სადოქტორო საფეხურის დანიშნულება.

სადოქტორო პროგრამების სასწავლო კომპონენტი

გარდა სადოქტორო სემინარებისა და არჩევითი სასწავლო დისციპლინებისა სპეციალობის მიმართულებით, ძირითადად, სადოქტორო პროგრამებში წარმოდგენილია ზოგადი საგნები - პედაგოგიკის, კვლევის მეთოდებისა და აკადემიური წერის სფეროებიდან. ეს საგნები ყველას ესწავლება სპეციალობის მიუხედავად. როგორც განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, მათი ძირითადი რეკომენდაციები ეხება აკადემიურ / სასწავლო კომპონენტს. მათი მხრიდან ყურადღება ექცევა, თუ რამდენად უზრუნველყოფს აკადემიური კომპონენტი ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოში წარმოდგენილ სადოქტორო საფეხურის ზოგადი კომპეტენციების მიღწევას. ამ მიზნით, რეკომენდებულია, რომ არ მოხდეს სადოქტორო საფეხურის სტუდენტისათვის მაგისტრატურის საფეხურის დისციპლინის სწავლება, სასწავლო კურსის, თუნდაც არჩევითის, მაგისტრანტთან ერთად შესწავლა.

ყველაზე დიდი სიხშირით გვხვდება პედაგოგიკის საგანი, რომელიც, თავის კურიკულუმში სადოქტორო პროგრამების დიდ ნაწილს აქვს ჩასმული. ამ სასწავლო დისციპლინის აქტუალობა სადოქტორო დონეზე განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ დოქტორის ხარისხს აკადემიური კარიერის ნაწილად მიიჩნევენ და ამზადებენ მას საუნივერსიტეტო პედაგოგიური მოღვაწეობისათვის. ამავე დროს, დოქტორანტების ნაწილს ასისტენტ პროფესორის წოდება აქვს მინიჭებული და ისედაც უკვე ასწავლიან.

სადოქტორო საფეხურზე დიდი ყურადღება ენიჭება ასევე კვლევის მეთოდების შესწავლას დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე. აღნიშნული მიდგომა ლოგიკურია, რამდენადაც დოქტორანტურაში სწავლებისას სწორედ კვლევითი უნარების განვითარება და დახვეწა უნდა განხორციელდეს. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კვლევის მეთოდები გაერთიანებულია აკადემიურ წერასთან და წარმოდგენილია შემდეგი დასათაურებით: „აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები“. არცერთ სხვა უნივერსიტეტში ერთ კურსში ეს ორი საკითხი არ ერთიანდება, იგულისხმება, რომ მათ ცალკე კურსები სჭირდება და სხვადასხვა პროფესორი უნდა კითხულობდეს.

უნივერსიტეტების დიდი ნაწილი სადოქტორო დონეზე სთავაზობს საგანს აკადემიური წერა. განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის რეკომენდაციით, სადოქტორო დონეზე

უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სამეცნიერო ნაშრომის (დისერტაციის, მონოგრაფიის, სტატიის და სხვა) დაწერისა და დარგობრივი წერის ელემენტების შესწავლა. თუ უნივერსიტეტი არ სთავაზობს დოქტორანტს ამგვარ საგანს, მაშინ მან უნდა შეამოწმოს, ფლობს თუ არა დოქტორანტი ამ უნარებს სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარებისას, კერძოდ მოსთხოვოს და შეაფასოს რეფერატი.

ზოგიერთ პროგრამაში ასევე წარმოდგენილია სხვა ზოგადი სასწავლო დისციპლინები, კერძოდ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სავალდებულო სასწავლო დისციპლინაა უცხო ენა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სავალდებულო საგანი არის „მეცნიერების მენეჯმენტი“, ხოლო ქუთაისის უნივერსიტეტში - „ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესის ორგანიზებაში“.

სადოქტორო პროგრამებზე მიღება

სადოქტორო პროგრამებზე მიღება განისაზღვრება უნივერსიტეტის დონეზე, თუმცა, უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მიხედვით, მხოლოდ მაგისტრის ხარისხის მქონეს, ან მასთან გათანაბრებულ პირს აქვს უფლება გააგრძელოს სწავლა დოქტორანტურაში. 2012 წლის მონაცემების მიხედვით, კანდიდატთა უმეტესობის მიღება ხდება გასაუბრების გზით, ასევე, საჭიროა უცხო ენის გამოცდის ჩაბარება. რიგ შემთხვევაში უნივერსიტეტი ითხოვს კანდიდატისგან რაიმე სპეციფიკური ტესტის ჩაბარებას, საკვლევი თემის წარდგენას და მომავალი ხელმძღვანელის თანხმობას.

როგორც ცხრილიდან ჩანს, სადოქტორო პროგრამებზე მიღების მნიშვნელოვანი წინაპირობაა უცხო ენის მაღალ დონეზე ცოდნა, ასევე, ხშირად აუცილებელია კომისიასთან გასაუბრება, მომავალი სამეცნიერო ხელმძღვანელის დასაბუთებული თანხმობა მეცნიერ-ხელმძღვანელად დანიშვნის შესახებ, გამოცდა სპეციალობაში. რიგ შემთხვევაში უნივერსიტეტები ითხოვენ კანდიდატებისაგან სამუშაო გამოცდილებას, კვლევის პროექტს/რეფერატს. სამეცნიერო შრომების წარდგენა სასურველ პირობას წარმოადგენს საქართველოს უნივერსიტეტში (იხ. ცხრილი #7).

დასაქმება

დოქტორანტების დასაქმების დოკუმენტალური აღრიცხვა არ წარმოებს არცერთ უნივერსიტეტში. თუმცა, მცირე ზომის უნივერსიტეტებში, ის პირები, ვინც კურირებენ სადოქტორო პროგრამებს, ფლობენ ზეპირ ინფორმაციას მათი პროფესიული საქმიანობის

შესახებ. ხშირია, როცა დოქტორანტი დასაქმებული იმავე უნივერსიტეტში ადმინისტრაციაში, ან არის ასისიტენტ პროფესორი/მოწვეული ლექტორი.

მოტივაცია

საქართველოში უნივერსიტეტების მოტივაცია, ჰქონდეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები, სხვადასხვა ფაქტორით განისაზღვრება. კვლევის შედეგად გამოვლინდა ორი ძირითადი ფაქტორი: 1. ახალი ცოდნის შექმნა. 2. აკადემიური კადრების მომზადება. უნივერსიტეტებიდან ზოგისთვის წამყვანია პირველი ფაქტორი, ზოგისთვის მეორე.

საქართველოს საგანმანათლებლო ინდუსტრიაში არსებული იმ დიდი და ტრადიციული უნივერსიტეტებისთვის, რომლებიც ათწლეულების მანძილზე ატარებდნენ კვლევებს, ახორციელებდნენ ჯერ ასპირანტურის, ხოლო შემდეგ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს, უპირველესი მამოტივირებელი ფაქტორია ახალი ცოდნის შექმნის ტრადიციების გაგრძელება. ასეთი უნივერსიტეტებია სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნოვერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ვანო ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი.

შედარებით ახალგაზრდა და მცირეკონტიგენტიანი უნივერსიტეტებისთვის კი უპირველეს მამოტივირებელ ფაქტორს უნივერსიტეტის შიდა ინტელექტუალური რესურსის განვითარება და საკუთარი აკადემიური პერსონალის მომზადება წარმოადგენს. აღნიშნულს ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ამგვარი უნივერსიტეტები ცდილობენ დააფინანსონ დოქტორანტები, ასევე მათი დოქტორანტების დიდ ნაწილს აქვს ასისტენტ პროფესორის წოდება.

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (GIPA) სადოქტორო პროგრამა 2006 წელს შეიქმნა ამერიკის საელჩოს დაფინანსებით. პროგრამა 2012 წლამდე იყო უფასო და მიმართული იყო შიდა რესურსის განვითარებაზე. უნივერსიტეტის საგანმანთლებლო პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, მათ ჰყავდათ მოწვეული ლექტორები, რომლებსაც არ ჰქონდათ დოქტორის აკადემიური ხარისხი. სწორედ აღნიშნული ჯგუფი წარმოადგენდა სადოქტორო პროგრამის მიზნობრივ აუდიტორიას. 2012 წელს სადოქტორო პროგრამა კომერციული გახდა და ხელახლა გაიარა აკრედიტაცია. ამ დრომდე დოქტორის ხარისხი მხოლოდ ერთმა დოქტორანტმა მიიღო. 2012 წელს ახლად აკრედიტებულ სადოქტორო

პროგრამაზე გადმოვიდნენ GIPA-ს ძველი პროგრამის დოქტორანტები, დღეისათვის ირიცხება 30 დოქტორანტი. ახლადმიღებულების გარდა, ყველას აქვს ასისტენტ პროფესორის წოდება. GIPA-ს მოტივაციას, განავითაროს შიდა რესურსი, ასევე ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ის ჟურნალისტიკის მიმართულებით მოწვეულ ლექტორებს აგზავნის სამხრეთ კაროლინას უნივერსიტეტში (აშშ) კვლევის განხორციელებისათვის 9 თვით, ასევე მხარს უჭერს მათ მობილობას აღნიშნული უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებზე. ასეთივე თანამშრომლობა იგეგმება მეისონის უნივერსიტეტთან (აშშ) სახელმწიფო მართვის მიმართულებით.

კავკასიის უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ უმაღლესი განათლების მნიშვნელობა დიდია კვლევების სამომავლო გაუმჯობესებისათვის და იმავდროულად, კვლევის მნიშვნელობა უმაღლესი განათლების ხელშეწყობის საქმეში საზოგადოების ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის. დოქტორანტურა განათლების სისტემის უმაღლესი საფეხურია და შესაძლოა, მის მიმართ მეტი მოთხოვნები არსებობდეს მისი მიზნიდან გამომდინარე, რომელსაც შეადგენს სამეცნიერო კადრების მომზადება. კავკასიის უნივერსიტეტში, ისევე როგორც სხვა უნივერსიტეტებში, რადგან დოქტორანტს უფლება აქვს დაიკავოს ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობა, ამდენად მისი ხელფასი შესაძლოა განიხილებოდეს დაფინანსების ფორმად.

აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამამ აკრედიტაცია 2009 წელს გაიარა, მასზე 7 დოქტორანტი ირიცხება. პროგრამის სპეციფიკურობის გამო, სამხედრო მეცნიერებების დარგში სპეციალისტების ნაკლებობამ განაპირობა სადოქტორო პროგრამის შექმნა. უნივერსიტეტი აფინანსებს 6 დოტორანტს - ხუთს სრულად, ხოლო ერთს - გადასახადის 50%-ით. 4 დოქტორანტს აქვს ასისტენტ პროფესორის წოდება.

თავისუფალი უნივერსიტეტის მიზანიც, ჰქონდეს სადოქტორო სწავლების საფეხური, სამეცნიერო კვლევების წარმოებასთან და ახალის ცოდნის შექმნასთან ერთად, მდგომარეობს საკუთარი კადრების მომზადებასა და რესურსების გაძლიერებაში. ამიტომაც, თავისუფალ უნივერსიტეტში სწავლის ღირებულება პრაქტიკულად ნულია. დოქტორანტურაში სწორედ იმ მოტივით მიიღეს სტუდენტები, რომ უნივერსიტეტში დაასაქმებდნენ, როგორც აკადემიურ პერსონალს.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიც აცხადებს, რომ აკადემიური პერსონალის გაზრდა მათთვისაც ერთერთი მთავარი პრიორიტეტია. ამიტომაც, უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ დააფინანსოს სტუდენტთა 40%. უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია საამისოდ ხარჯები, ხოლო ფაკულტეტები დამოუკიდებლად წყვეტენ, ვის მისცენ სრული დაფინანსება და ვის - ნაწილობრივი. ერთ-ერთი კრიტერიუმი არის მისაღები გამოცდების ქულები. უნივერსიტეტს ასეთი პოზიცია აქვს: თუ უნივერსიტეტს სურს რაიმე ახალი დარგის დანერგვა და განვითარება, მაშინ ის სხვა უნივერსიტეტშიც კი უფინანსებს დოქტორანტს სწავლას. მაგალითად, ასეთია ხელოვნებათმცოდნეობის, ელექტროენერგეტიკის დარგები.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სადოქტორო საფეხურზე სწავლა არის უფასო და ამით განსხვავდება ის ყველა სხვა უნივერსიტეტისგან. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, გამოდის, რომ უნივერსიტეტი აფინანსებს დოქტორანტებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საკმაოდ ბევრ დოქტორანტს აქვს ასისტენტ პროფესორის წოდება, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დოქტორანტურაში ჩაბარების ერთ-ერთი მოტივი სტუდენტისთვის იყოს დასაქმება, ხოლო უნივერსიტეტისთვის - საკუთარი აკადემიური კადრების მომზადება.

საავიაციო უნივერსიტეტშიც დოქტორანტისთვის სწავლა ხშირ შემთხვევაში უფასოა - უნივერსიტეტი აფინანსებს მესამე საფეხურზე სწავლას იმათთვის, ვინც განეკუთვნება უნივერსიტეტის კონტინგენტს და ბაკალავრიატიც და მაგისტრატურაც აქვს ამავე უნივერსიტეტში დამთავრებული.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს გამოვლინდა სხვა მამოტივირებელი ფაქტორებიც:

- რამდენიმე უნივერსიტეტმა, მაგალითად, ვანო ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახეწლმწიფო სამხატვრო აკადემიამ, საქართველოს აგრარულმა უნივერსიტეტმა, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა, ასევე აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი, რომელიც ახორციელებს სადოქტორო პროგრამას სამხედრო მეცნიერებებში, ერთ-ერთ მთავარ მოტივად დაასახელეს ასევე ნაკლებად გავრცელებული დარგების განვითარება, რომელთა შესწავლა მხოლოდ მათ უნივერსიტეტებში ხორციელდება.
- საინტერესოა, რომ ერთ-ერთ მამოტივირებელ ფაქტორად შემოსავლის მიღებას მხოლოდ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წარმომადგენელი ასახელებს.

პროფესორის ასისტირება

სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთ დანიშნულებად აკადემიური პერსონალის გაზრდა მიიჩნევა. სწორედ ამიტომ, უნივერსიტეტების მიზანია, დოქტორანტურაში სწავლის დროს დოქტორანტმა მიიღოს სწავლების გამოცდილება.

უნივერსიტეტების დიდი ნაწილში დოქტორანტები მხოლოდ სასწავლო დისციპლინის სასემინარო და პრაქტიკულ საათებს ატარებენ. მათ მოვალეობაში ასევე შედის:

- შუალედური და საბოლოო გამოცდებისათვის ტესტებისა და საკითხების მომზადება
- საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა თანახელმძღვანელობა
- სტუდენტების ნამუშევრების და ტესტების გასწორება და სხვა.

შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტში პროფესორის ასისტირება კრედიტების დაანგარიშების მიხედვით დაყოფილია ორ დონედ, რაც კრედიტების განსხვავებულ რაოდენობას გულისხმობს:

I დონე - პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარება, გამოცდებისათვის ტესტებისა და საკითხების მომზადება, სტუდენტების შეფასების პროცესში მონაწილეობა.

II დონე - სტუდენტის მომზადება კონფერენციისათვის, საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელობა.

აიბი ევრო-კავკასიურ უნივერსიტეტში, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობებისა, დოქტორანტს ასევე ევალება ჯგუფის კურატორობა და სასწავლო პროცესის მართვა.

პროფესორის ასისტირების დროს უნივერსიტეტების ნაწილი დოქტორანტს აძლევს საშუალებას, რომ სასწავლო დისციპლინა ასწავლოს დამოუკიდებლად პროფესორის ზედამხედველობით, კერძოდ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (GIPA) პრაქტიკული კურსების ჩატარება შეუძლია დოქტორანტს დამოუკიდებლად, ხოლო თეორიული კურსების - პროფესორთან ერთად. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მისი დოქტორანტების ნაწილი გამოცდილი ლექტორები არიან და წლების მანძილზე კითხულობდნენ ლექციებს უნივერსიტეტში მოწვეული პროფესორის სტატუსით. ანალოგიური შემთხვევაა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში.

სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება

დისერტაციის დაცვის ერთ-ერთი წინაპირობაა გამოქვეყნებული სტატიები საკვლევ თემასთან დაკავშირებით, თუმცა, უნივერსიტეტები სხვადასხვა პირობებს სთავაზობენ დოქტორანტებს როგორც გამოსაქვეყნებელი სტატიების რაოდენობის, ისე ჟურნალების მიხედვითაც.

სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. უნივერსიტეტების დიდ ნაწილში მკაცრად ფასდება სტატიის ხარისხი და მოთხოვნილია სტატიის რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნება.

უნივერსიტეტების ნაწილი ითხოვს სტატიის გამოქვეყნებას მხოლოდ საერთაშორისო რეფერირებად ან იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში, მაგალითად თსუ, ილიაუნი, სამხატვრო აკადემია, კავკასიის უნივერსიტეტი, ქუთაისის უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი, თავისუფალი უნივერსიტეტი, სამედიცინო უნივერსიტეტი, ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი, თელავის უნივერსიტეტი, სოხუმის უნივერსიტეტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტების ნაწილი იღებს იმ სამეცნიერო სტატიასაც, რომელიც გამოქვეყნებულია ადგილობრივ რეფერირებად ჟურნალებში, მაგალითად, აიბი ევრო-კავკასიური

უნივერსტეტი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა უნვერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივესიტეტი, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტების ნაწილი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების აქტივობას ანაცვლებს სხვა აქტივობით: გამოქვეყნებით საერთაშორისო კონფერენციის მასალებში, უცხოელი პროფესორის რეცენზიით, ან მონოგრაფიით. მაგალითად თსუ, ილიაუნი, სამხატვრო აკადემია. GIPA-ში გრუნიში, სტუ-ში, კავკასიის უნივერსიტეტში, საქართველოს უნივერსიტეტში, საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში სტატიის ჩანაცვლება შეიძლება სხვა პუბლიკაციით (წიგნი, მონოგრაფია). თელავის უნივერსიტეტისთვის მისაღებია სტატიის გამოქვეყნების ჩანაცვლება როგორც კონფერენციებში მონაწილეობით, ასევე მონოგრაფიის გამოქვეყნებით. მონოგრაფიით ან წიგნით სტატიის ჩანაცვლება ხსნიან იმით, რომ ეს უფრო ღირებული შრომაა, რადგან იწერება კვლევებზე დაყრდნობით, ავტორი აკეთებს იმ რაოდენობის დასკვნებს, რასაც გააკეთებდა 3-4 სტატიაში. თუმცა, საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში სტატიის გამოქვეყება არის სამეცნიერო კვლევის ხარისხის მაჩვენებელი, რასაც ვერ უზრუნველყოფს მონოგრაფია, რომელიც მხოლოდ ვიწრო, შიდა საუნივერსიტეტო წრეში ვრცელდება. სტატიის ჩანაცვლება ხდება ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ დოქტორანტს აქვს რაიმე მეცნიერული ღირებულების მქონე გამოგონება.

აღსანიშნავია შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემთხვევა, სადაც 2012 წლიდან მოითხოვება 5 სტატიის გამოქვეყნება, ოთხის რეფერირებად ჟურნალში, ხოლო ერთის - 0.5-ზე მაღალი იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში. წინა წლებში მათემატიკის სადოქტორო პროგრამაზე ითხოვდნენ სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნებას მაღალი იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია იმისა, რომ პროგრამა ვერც ერთმა დოქტორანტმა ვერ დაამთავრა. სხვა პროგრამებზე ითხოვდნენ 5 სტატიის გამოქვეყნებას მხოლოდ რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში. მიუხედავად მოთხოვნილი სამეცნიერო სტატიების დიდი რაოდენობისა, აღნიშნული კომპონენტი შესრულებულ იქნა და დოქტორის ხარისხი დაიცვა და მიიღო ცხრამეტმა დოქტორანტმა. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების ჩანაცვლება სხვა კომპონენტით არ ხდება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, საქართველოს უნივერსიტეტს, ქუთაისის უნივერსიტეტს, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტს, გრიგილ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს აქვთ საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალები.

განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის რეკომენდაციით, დოქტორანტმა ორი სტატია უნდა გამოაქვეყნოს - ერთი ნაშრომთან რელევანტურ საკითხზე, ხოლო მეორე მომიჯნავე

თემატიკაზე. ამ ეტაპზე რეკომენდაციები ჟურნალის ტიპის შესახებ არ არის, თუმცა მომავალში იგეგმება, რომ ყურადღება გამახვილდეს ხარისხის უზრუნველყოფაზე და რეკომენდებული იქნეს სტატიის რეფერირებად და იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, საერთაშორისო რეფერირებად და იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების მოთხოვნა იმის მაჩვენებელია, რომ უნივერსიტეტის მიზანია ხარისხიანი სადოქტორო პროგრამის განხორციელება. უნივერსიტეტები, რომლებიც საკუთარ ჟურნალს უშვებენ, თუმცა არა საერთაშორისო დონის, და ასევე, უნივერსიტეტები, რომლებიც პუბლიკაციებს - მონოგრაფიას ან წიგნს ითხოვენ სტატიის ნაცვლად, ვერ უზრუნველყოფენ საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი დოქტორის ხარისხის მინიჭებას.

დოქტორანტი სტუდენტების გამოკითხვის შედეგები

გამოკითხული დოქტორანტების დიდი ნაწილი ჰუმანიტარულ მეცნიერებებს შეისწავლის (33.99%), ასევე იაქტიურეს სოციალური მეცნიერებებისა და სამედიცინო სადოქტორი პროგრამების სტუდენტებმა.

დიაგრამა #1 გამოკითხული დოქტორანტების გადანაწილება სფეროების მიხედვით



სადოქტორო საფეხურზე სწავლის გაგრძელების მთავარ მამოტივირებელ ფაქტორად გამოკითხული დოქტორანტების მიერ დასახელდა სამეცნიერო კვლევის განხორციელების შესაძლებლობა (50%) და კარიერაში წინსვლა (43%) (იხ. დიაგრამა #1).

დიაგრამა #2. დოქტორის ხარისხის მიღების მოტივაცია



გამოკითხული დოქტორანტების გარკვეული ნაწილი პროგრამის შერჩევისას ხარისხს (39%) ანიჭებს უპირატესობას, სხვები კი იმავე სასწავლებელში აგრძელებენ სწავლას, სადაც უკვე დაამთავრეს ბაკალავრიატი და მაგისტრატურა (33%) (იხ. დიაგრამა #2).

დიაგრამა #3. სადოქტორო პროგრამის შერჩევის მაჩვენებელი



საყურადღებო კავშირი გამოვლინდა სწავლის დარგსა და სადოქტორო პროგრამის შერჩევის მაჩვენებელს შორის (დიაგრამა #4). როგორც დიაგრამიდან ჩანს, სამედიცინო, სამართალმცოდნეობის, ბიზნესის ადმინისტრირების და საბუნებისმეტყველო სფეროს წარმომადგენლები უნივერსიტეტის არჩევის დროს უპირატესობას ანიჭებენ სწავლების ხარისხს, ხოლო ჰუმანიტარული მეცნიერებების წარმომადგენლები - ჩვეულ გარემოს.

დიაგრამა #4 სწავლის დარგსა და სადოქტორო პროგრამის შერჩევას შორის კავშირი


სწავლის დარგსა და სადოქტორო პროგრამის შერჩევას შორის კავშირი
20 %
18 %
16 %
14 %
12 %
10 %
8 %
6 %
4 %
2 %
0 %
ბიზნესის ადმინისტრირება
ეკონომიკა
ფიზიკური მეცნიერებები
ზუსტი და ტექნიკური მეცნიერებები
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
სამართალმცოდნეობა
სამედიცინო
სახელოვნებო
სოციალური მეცნიერებები
ჰუმანიტარული მეცნიერებები
ამავე უნივერსიტეტში დავასრულე ბაკალავრიატი და/ან მაგისტრატურა
ეს სპეციალობა სხვა უნივერსიტეტშიც ისწავლება, მაგრამ აქ სწავლების ხარისხია უფრო მაღალი
ეს სპეციალობა სხვაგანაც ისწავლება, მაგრამ აქ სწავლა უფრო იაფი მიჯდება
მხოლოდ იქ ისწავლება ის სპეციალობა, რომელშიც ხარისხის მიღება მინდა
სხვა

დანართები

ცხრილი #1 კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტები და ინტერვიუების რესპონდენტები

#	უნივერსიტეტი	რესპონდენტი
1	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ)	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (თსსუ)	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
3	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ილიაუნი)	მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე
4	შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
5	თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
6	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
7	თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
8	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ)	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
9	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამაგისტრო და სადოქტორო სწავლების განყოფილების უფროსი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
10	თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	პრორექტორი
11	დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
12	საქართველოს უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი
13	კავკასიის უნივერსიტეტი	ვიცე პრეზიდენტი სასწავლო დარგში
14	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
15	საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	პრორექტორი, საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი

16	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (გრუნი)	სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი
17	შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ვიცე-კანცლერი, სამაგისტრო და სადოქტორო სწავლების კოორდინატორი
18	აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
19	ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
20	საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი (სდასუ)	მედიცინის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი
21	საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)	სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი
22	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, სადოქტორო პროგრამების დეპარტამენტის უფროსი
23	ქუთაისის უნივერსიტეტი	რექტორი, ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი.
24	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი; სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი
25	თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მთავარი სპეციალისტი
26	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
27.	საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	აკრედიტაციის სამმართველოს ხელმძღვანელი

ცხრილი #2 დოქტორანტების რაოდენობა უნივერსიტეტების მიხედვით

#	უნივერსიტეტი	დოქტორანტების რაოდენობა
1	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ)	1401

2	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (თსსუ)	96
3	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ილიაუნი)	467
4	შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი	48
5	თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	10
6	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	0
7	თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	20
8	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ)	1690
9	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	105
10	თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	17
11	დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი	47
12	საქართველოს უნივერსიტეტი	33
13	კავკასიის უნივერსიტეტი	61
14	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	210
15	საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	2
16	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (გრუნი)	53
17	შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	64
18	აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი	7
19	ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	22
20	საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი (სდასუ)	5
21	საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)	30
22	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	116
23	ქუთაისის უნივერსიტეტი	16
24	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	144
25	თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	13
26	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	0
	სულ	4677

ცხრილი #3 2012-13 სასწავლო წლებში ჩარიცხული დოქტორანტების რაოდენობა

#	უნივერსიტეტის დასახელება	წელს მიღებული დოქტორანტების რაოდენობა
1	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ)	304
2	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (თსსუ)	15
3	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ილიაუნი)	94
4	შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი	0
5	თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	1
6	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	0
7	თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	4
8	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ)	273
9	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	0
10	თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	0
11	დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი	10
12	საქართველოს უნივერსიტეტი	10
13	კავკასიის უნივერსიტეტი	13
14	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	69
15	საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	0
16	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (გრუნი)	3
17	შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	13
18	აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი	0
19	ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	5
20	საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი (სდასუ)	5

21	საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)	30
22	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	16
23	ქუთაისის უნივერსიტეტი	6
24	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	60
25	თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	0
26	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	0
	სულ	931

ცხრილი #4 საქართველოს უნივერსიტეტებში სადოქტორო პროგრამების ხანგრძლივობა და ECTS კრედიტების რაოდენობა

#	უნივერსიტეტის დასახელება	პროგრამის ხანგრძლივობა	კრედიტების რაოდენობა
1	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ)	3-5 წელი	180 კრედიტი
2	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (თსსუ)	3-4 წელი	180 კრედიტი
3	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ილიაუნი)	3-5 წელი	180 კრედიტი
4	შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი	3 წელი	180 კრედიტი
5	თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	3 წელი	180 კრედიტი
6	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	3-5 წელი	180 კრედიტი
7	თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	3-5 წელი	180 კრედიტი
8	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ)	3-4 წელი	180 კრედიტი
9	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	3 წელი	180 კრედიტი
10	თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	3-4 წელი	მინიმუმ 180 კრედიტი
11	დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი	3-6 წელი	180 კრედიტი
12	საქართველოს უნივერსიტეტი	3-6 წელი	180 კრედიტი
13	კავკასიის უნივერსიტეტი	3-7 წელი	180 კრედიტი

14	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	3-5 წელი	180 კრედიტი
15	საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	6-7 სემესტრი	180 კრედიტი
16	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (გრუნი)	3-5 წელი	180 კრედიტი
17	შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	3-7 წელი	არაა მითითებული
18	აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი	3-5 წელი	180 კრედიტი
19	ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	4-5 წელი	180 კრედიტი
20	საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი (სდასუ)	3-5 წელი	180 კრედიტი
21	საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)	3-4 წელი	180 კრედიტი
22	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	3-5 წელი	180 კრედიტი
23	ქუთაისის უნივერსიტეტი	3-6 წელი	180 კრედიტი
24	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	3-5 წელი	180 კრედიტი
25	თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	3 წელი ან მეტი	180 კრედიტი
26	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	3 წელი ან მეტი	180 კრედიტი

ცხრილი #5. საქართველოს უნივერსიტეტებში სადოქტორო პროგრამების ღირებულება

#	უნივერსიტეტი	წლიური საფასური	სემესტრული საფასური
1	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ)	300-2250	150-1125
2	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (თსსუ)	სასწავლო კომპონენტი - 1335 ლარი, კვლევითი კომპონენტის ფასი განისაზღვრება ინდივიდუალურად	სასწავლო კომპონენტი - 667.5 ლარი, კვლევითი კომპონენტის ფასი განისაზღვრება ინდივიდუალურად

3	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ილიაუნი)	0-3000	0-1500
4	შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი	2000	1000
5	თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	3000	1500
6	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	0	0
7	თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	3000	1500
8	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ)	2250	1125
9	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	600-1800	300-900
10	თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	0	0
11	დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი	2000 აშშ დოლარი	1000 აშშ დოლარი
12	საქართველოს უნივერსიტეტი	1500	750
13	კავკასიის უნივერსიტეტი	14000 - 28000 (მთლიანი პროგრამის საფასური)	(გადახდა წარმოებს კრედიტების მიხედვით)
14	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	1500-2250	750-1125
15	საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	4000	2000
16	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (გრუნი)	3500-4500	1750-2750
17	შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	3560-4560	1780-2780
18	აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი	3000	1500
19	ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	5000	2500
20	საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი (სდასუ)	4000	2000
21	საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)	2500	1250
22	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2750	1375
23	ქუთაისის უნივერსიტეტი	2500	1250

24	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სასწავლო კომპონენტი - 2250 ლარი, კვლევითი კომპონენეტი - 0-450 ლარი	სასწავლო კომპონენტი - 1125 ლარი, კვლევითი კომპონენეტი - 0-225 ლარი
25	თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1750-2250	875-1125

ცხრილი #6. სადოქტორო პროგრამებზე აკადემიური და კვლევითი კომპონენტების განაწილება

#	**უნივერსიტეტის დასახელება**	**კვლევითი კომპონენტი**		**აკადემიური კომპონენტი**	
		კრედიტი	პროცენტული წილი	კრედიტი	პროცენტული წილი
1	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ)	120-140	67-78 %	40- 60	22-33 %
2	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (თსსუ)	135	75%	45	25%
3	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ილიაუნი)	120	67%	60	33%
4	შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი	120 (70+50)	67%	60	33%
5	თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	146	81%	34	19%
		150	83%	30	17%
6	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	135	75%	45	25%
7	თბილისის აპოლონ ქუთათელაძის	135	75%	45	25%

	სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია				
8	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ)	120	67%	60	33%
9	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	120	67%	60	33%
10	თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	120-150	67-83%	30-60	17-33%
11	დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი	150	83%	30	17%
12	საქართველოს უნივერსიტეტი	120	67%	60	33%
13	კავკასიის უნივერსიტეტი	120	67%	60	33%
14	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	120	67%	60	33%
15	საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	120	67%	60	33%
16	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (გრუნი)	120	67%	60	33%
17	შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	90	50%	90	50%
18	აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი	90	50%	90	50%
19	ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	120	67%	60	33%
20	საქართველოს დავით აღმაშენებლის	135	75%	45	25%

	სახელობის უნივერსიტეტი (სდასუ)				
21	საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)	145-175	81-89.7 %	20-70	11-35.9%[2]
22	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	135	75%	45	25%
23	ქუთაისის უნივერსიტეტი	120	67%	60	33%
24	შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	120	67%	60	33%
25	თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	120	67%	60	33%
26	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	120	67%	60	33%

ცხრილი #7. სადოქტორო პროგრამებზე მიღების პროცედურა საქართველოს უნივერსიტეტების მიხედვით

#	უნივერსიტეტის დასახელება	მიღების პროცედურა
1	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ)	1. გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან 2. ერთერთი ევროპული ენის B2 დონეზე ცოდნა
2	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (თსსუ)	1. შუამდგომლობა ბოლო სამუშაო ადგილიდან ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან. 2. ტესტირება/გასაუბრება სპეციალობასა და უცხო ენაში
3	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ილიაუნი)	1. ტესტირება ინგლისურ ენაში 2. გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან.
4	შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი	1. ა)სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობა სათანადო დასაბუთებით; ბ) უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი ასლთან ერთად ან უცხო

[2] გამოთვლილია 195 კრედიტიდან, ანუ მაქსიმალური რაოდენობიდან, რაც შეიძლება სტუდენტმა დააგროვოს.

		ენაში ჩაბარებული გამოცდის დამადასტურებელი მოწმობა ასლთან ერთად; გ) პროფესიული გამოცდილების 3 წლის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი. 2. გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან
5	თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	გამოცდები: 1. სპეციალობა 2. სპეციალობის მომიჯნავე დისციპლინებში 3 უცხო ენა
6	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	კვლევის მონახაზი ბიუჯეტთან ერთად.
7	თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	უცხო ენა, გასაუბრება, ხელმძღვანელის თანხმობა, კვლევის მონახაზი.
8	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ)	გასაუბრება კომისიასთან, სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამებზე უცხო ენის B2 დონეზე ცოდნა.
9	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1. ერთ-ერთი ევროპული ენის B2 დონზე ცოდნა; 2. გასაუბრება.
10	თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	1.სრული ან ასოცირებული პროფესორის დასტური სამეცნიერო ხელმძღვანელობის თაობაზე; 2. სადისერტაციო თემა; 3. თემის მნიშვნელობისა და პრობლემის აღწერა; 4. კვლევისთვის გამოყენებული მეთოდოლოგია; 5. გამოსაყენებელი ლიტერატურის მიმოხილვა
11	დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი	1.სამედიცინო საქმიანობის სალიცენზიო სერთიფიკატი (კლინიკური მიმართულებებისთვის); 2.ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა; 4 დახასიათება; 5.გასაუბრება.
12	საქართველოს უნივერსიტეტი	1. ორი სარეკომენდაციო წერილი დოქტორის ხარისხის მქონე მოქმედი მეცნიერ-სპეციალისტისაგან; 2. სულ მცირე 1 სამეცნიერო პუბლიკაცია, გამოქვეყნებული საერთაშორისო ჟურნალებში, რომელთა ჩამონათვალს ცნობს საქართველოს უნივერსიტეტი
13	კავკასიის უნივერსიტეტი	1. სულ მცირე ორ წლიანი სამუშაო გამოცდილება ან 3.7. GPA; 2. გამართულად წერის და ანალიტიკური უნარ–ჩვევები; 3. კვლევის სწავლების უნარი
14	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	1. გამოქვეყნებული შრომების სია - არარსებობის შემთხვევაში, ან შესაბამის დარგში დაწერილი სამეცნიერო რეფერატი სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნით; 2. უცხო ენის სათანადო დონეზე ფლობის დამადასტურებელი მოწმობა/ სერთიფიკატი; 3. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის/ დარგის აღიარებული

		სპეციალისტის შუამდგომლობა სათანადო დასაბუთებითურთ.
15	საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	1.სავარაუდო მეცნიერ-ხელმძღვანელის დასაბუთებულ თანხმობა მეცნიერ-ხელმძღვანელად დანიშვნის თაობაზე; 2. ერთ-ერთი უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) C1 დონეზე ცოდნა; 3. შრომითი საქმიანობის დამადასტურებელ დოკუმენტები; 4. ძირითადი სამეცნიერო ნაშრომების, გამოგონებების, სამეცნიერო ანგარიშების სია; 5. რეფერატი სადისერტაციო თემატიკაზე და მასზე სავარაუდო მეცნიერ-ხელმძღვანელის რეკომენდაცია-დახასიათება.
16	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (გრუნი)	1. რეკომენდაცია სამსახურიდან ან ორი პიროვნების სახელი, გვარი საკონტაქტო ინფორმაციით, ვისგანაც შეიძლება ინფორმაციის მიღება კანდიდატის შესახებ. 2.გამოცდები: ა) რეფერატის დაცვა; ბ) გამოცდა ერთ-ერთ ევროპულ ენაში, არანაკლებ B2 დონის შედეგით; გ) პროგრამის კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიძლება ჩატარდეს გამოცდა სპეციალურ დისციპლინაში.
17	შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	1. ინგლისურის ქულა TOEFL-ში (IBT 65 ქულა)
18	აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი	1. გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან 2. ერთ-ერთი ევროპული ენის B2 დონეზე ცოდნა
19	ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	1. გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან 2. ერთ-ერთი ევროპული ენის B2 დონეზე ცოდნა
20	საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი (სდასუ)	1. გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან 2. ერთ-ერთი ევროპული ენის B2 დონეზე ცოდნა

21	საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) ტექნიკურად უცნაურადაა ეს სვეტი	1. ა) სადოქტორო ნაშრომის პროექტი (მაქსიმუმ 1000 სიტყვა); ბ) სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის (დოქტორის ხარისხის მატარებლი პირის) შუამდგომლობას. 2. გასაუბრება კომისიასთან საჭიროების შემთხვევაში
22	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უცხო ენის B2 დონეზე ცოდნა.
23	ქუთაისის უნივერსიტეტი	1.გამოცდა უცხო ენაში 2. გასაუბრება სპეციალობაში
24	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1. გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან 2. ერთ-ერთი ევროპული ენის B2 დონეზე ცოდნა 3. გამოცდა სპეციალობაში
25	თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	გამოცდა სპეციალობაში

ცხრილი #8 დოქტორანტი ასისტენტ-პროფესორების რაოდენობა

#	უნივერსიტეტი	დოქტორანტი ასისტენტ პროფესორების რაოდენობა
1	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ)	53
2	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (თსსუ)	0
3	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ილიაუნი)	25
4	შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი	4

5	თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	0
6	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	0
7	თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	1
8	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ)	1
9	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	5
10	თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	17
11	დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი	9
12	საქართველოს უნივერსიტეტი	2
13	კავკასიის უნივერსიტეტი	20
14	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	3
15	საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	2
16	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (გრუნი)	3
17	შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	1
18	აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი	4
19	ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	12
20	საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი (სდასუ)	0
21	საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)	12
22	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2
23	ქუთაისის უნივერსიტეტი	4
24	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	6
25	თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	0
26	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	0

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ბრეგვაძე, თ. (2011), სადოქტორო პროგრამები ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ტენდენციები, გამოწვევები და საუკეთესო პრაქტიკა. ანგარიში მომზადებულია ტემპუსის პროექტის ფარგლებში
2. დარჩია, ი. (2011), ტემპუსის სემინარი სადოქტორო განათლების შესახებ. Retrieved from: http://www.tempus.ge/images/txt/brussels-presentation-darchia.pdf
3. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, http://eqe.ge/uploads/LawsRegulaions/HE_LAW.pdf
4. ცვლილებები და დამატებები საქართველოს კანონში უმაღლესი განათლების შესახებ, 2009 წლის 10 აგვისტო http://parliament.ge/index.php?option=com_content&view=article&id=2&Itemid=34&lang=ge
5. საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ, http://eqe.ge/uploads/LawsRegulaions/QE_LAW.pdf
6. საქართველოს უმაღლესი განათლების საკვალიფიკაციო ჩარჩო, http://eqe.ge/geo/education/national_qualifications_framework
7. სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი, http://eqe.ge/uploads/HigherEducation/samartali.pdf
8. მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი, http://eqe.ge/uploads/HigherEducation/medicina.pdf
9. მასწავლებლის განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი, http://eqe.ge/uploads/HigherEducation/maswavleblisganatlebissaganmprogramisdargobrivimaxasiaTeb1.pdf
10. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1750961
11. ლისაბონის კონვენცია, http://www.mes.gov.ge/uploads/Bologna/1%20lisabonis%20konvencia.pdf
12. სორბონის დეკლარაცია, http://www.mes.gov.ge/uploads/Bologna/2%20sorbonis%20deklaracia.pdf
13. ბოლონიის დეკლარაცია, http://www.mes.gov.ge/uploads/Bologna/1%20boloniis%20deklaracia.pdf
14. პრაღის კომუნიკე, http://www.mes.gov.ge/uploads/Bologna/2%20praRis%20komunike.pdf
15. ბერლინის კომუნიკე, http://www.mes.gov.ge/uploads/Bologna/3%20berlinis%20komunike.pdf
16. ბერგენის კომუნიკე, http://www.mes.gov.ge/uploads/Bologna/4%20bergen%20communique.pdf
17. ლონდონის კომუნიკე, http://www.mes.gov.ge/uploads/Bologna/5%20London%20Communique.pdf

18. ლუვენის კომუნიკე, http://www.mes.gov.ge/uploads/Bologna/6%20Leuvenn%20communique.pdf
19. ვენა-ბუდაპეშტის დეკლარაცია, http://www.mes.gov.ge/uploads/Bologna/budabeshtii-vena%2021.04.pdf
20. ბუქარესტის კომუნიკე, http://www.ehea.info/Uploads/%281%29/Bucharest%20Communique%202012%281%29.pdf
21. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფოციალური ვებ-გვერდი, განათლების გვერდი, http://geostat.ge/?action=page&p_id=205&lang=geo (05.11.2012)
22. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, www.gipa.ge
23. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, www.sdasu.edu.ge
24. ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, www.gau.edu.ge
25. აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი, http://www.ibeku-tbilisi.edu.ge/
26. შპს ქუთაისის უნივერსიტეტი, www.unik.edu.ge
27. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი www.tsu.ge
28. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი www.iliauni.edu.ge
29. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი http://www.gtu.ge
30. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი http://www.tsmu.edu/tsmu12/tsmu/
31. შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი http://www.tafu.edu.ge http://www.tafu.edu.ge/webmill/data/file/drama/drama_katalogi.pdf
32. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ოფიციალური ვებ-გვერდი http://www.conservatoire.edu.ge/index.php?Id_leng=geo&Id_pg=01
33. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი http://agruni.edu.ge
34. თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ოფიციალური ვებ-გვერდი http://art.edu.ge/?page_id=4503
35. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი http://sou.edu.ge
36. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი http://freeuni.edu.ge
37. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი http://www.aieti.edu.ge
38. საქართველოს უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი http://www.ug.edu.ge/
39. კავკასიის უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი www.ce.edu.ge
40. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი http://www.sangu.ge

41. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი http://www.ssu.edu.ge
42. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი www.gruni.edu.ge
43. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი http://www.ibsu.edu.ge
44. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი http://www.atsu.edu.ge
45. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი http://www.bsu.edu.ge
46. თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი http://tesau.edu.ge/
47. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი www.ciu.edu.ge
48. ვენის უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი www.univie.ac.at
49. კარლის უნივერსიტეტის პრაღაში ოფიციალური ვებ-გვერდი www.cuni.cz
50. კემბრიჯის უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი http://www.cam.ac.uk/
51. ციურიხის უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი http://www.ethz.ch/
52. მიუნხენის უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი www.lmu.de
53. ტორონტოს უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი www.utoronto.ca
54. პენსილვანიის უნივერსიტეტი http://www.psu.edu/ (http://www.gradsch.psu.edu/)
55. იელის უნივერსიტეტი http://yale.edu/
56. კოლუმბიის უნივერსიტეტი http://www.columbia.edu/
57. National Science Foundation (2011). Doctorate Recipients from U. S. Unievrsities. Survey of Earned Doctorates. http://www.nsf.gov/statistics/sed/digest/2011/
58. Technopolis Group (2010), Study on the Organisation of Doctoral Programmes in EU neighbouring countries – Georgia. Retrieved from: http://ec.europa.eu/education/external-relation-programmes/doc/doctoral/georgia_en.pdf